



# თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

2022-2025 წლები

## სარჩევი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ .....	3
ისტორია .....	3
მდებარეობა .....	3
ფართობი .....	4
გეოგრაფია .....	4
მმართველობის ორგანოები .....	6
ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი .....	8
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები .....	13
თავი III. თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები	
საშუალოვადიან პერიოდში .....	24
ინფრასტრუქტურის განვითარება .....	29
დასუფთავება და გარემოს დაცვა .....	41
განათლება .....	43
კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი .....	45
ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა .....	59
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები .....	70

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

### ისტორია

თელავი - ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, გომბორის ქედის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი კალთის ძირას და ალაზნის ვაკეზე, კახეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი. ზღვის დონიდან 550-800 მ, თბილისიდან 158 კმ. ქალაქად გამოცხადდა 1801 წელს.

ახლანდელი თელავის ტერიტორიაზე პირველი დასახლება გვიანდელი ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა, ელინისტურ ხანაში განვითარდა, ხოლო გვიანდელ ანტიკურ ხანაში მის ბაზაზე წარმოიქმნა ქალაქის ტიპის დასახლება.

ქართულ წყაროებში თელავი გვხვდება XI საუკუნიდან, როდესაც იგი კახეთ-ჰერეთის სამთავროს ცენტრი გახდა. XII საუკუნეში იგი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო განვითარებული ვაჭრობითა და ხელოსნობით. თელავზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები. XIII საუკუნის II ნახევრიდან, მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ მისი მნიშვნელობა დაეცა. შემდგომში იგი მონღოლი მოხელის სადუნ მანკაბერდელის საკუთრება გახდა. XV-XVI სს-ში თელავი ისევ დაწინაურდა. XVII საუკუნეში ქალაქის შემდგომი განვითარება შეაფერხა ირანის შაჰის აბას I-ის ლაშქრობებმა. XVII საუკუნის II ნახევარში კახეთის მეფე არჩილ II-მ თავისი რეზიდენცია გრემიდან თელავში გადმოიტანა. ამ პერიოდიდან თელავი მწიგნობრობის კერად იქცა. აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ არჩილ II, დავით II (იმამყული-ხანი), თეიმურაზ II, საიათნოვა და სხვა. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ოჯახში დამკვიდრებულ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდა ქართველ ბატონიშვილთა მთელი თაობა. 1758 წელს თელავში დაარსდა საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა, რომელიც 1782 წელს სემინარიად გადაკეთდა. აქ საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ ფილიპე ყაითმაზაშვილი, გაიოზ რექტორი, დავით რექტორი და სხვები.

### მდებარეობა

თელავის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში. 1917 წლამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში, ხოლო 1930 წლიდან კი ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგად 2006 წლიდან ეწოდა მუნიციპალიტეტი. არსებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს გათვალისწინებით, თელავი უფრო მიმზიდველ ადგილად მიიჩნევა საცხოვრებლად, სამუშაოდ და ტურისტული თვალსაზრისით, ვიდრე რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტები.


თელავის მუნიციპალიტეტი წმოდგენს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულს, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო - აღმოსავლეთით რუსეთის ფედერაციის დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთ - აღმოსავლეთით გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთ - დასავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს ქ. თელავს, 22 ადმინისტრაციულ ერთეულს (29 სოფელი). მუნიციპალიტეტში 5 დიდი სოფელია, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 2500 ადამიანს. აღსანიშნავია ქალაქ თელავის სიახლოვე საქართველოს დედაქალაქ თბილისთან და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და დედაქალაქს შორის - 149 კმ-ია (თელავი - ბაკურციხე - თბილისი (2 საათი და 28 წუთი), ხოლო გომბორის უღელტეხილის გავლით გზა - 94 კმ (1 საათი და 49 წუთი). თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე გომბორის უღელტეხილის გავლით მანძილი შეადგენს 83 კილომეტრს, მანძილის გავლის საშუალო დრო 1 საათი და 30 წუთია. თელავის მუნიციპალიტეტში არსებობს სარკინიგზო ინფრასტრუქტურა და აეროპორტი „მიმინო“, რომელსაც ამ მომენტისთვის გააჩნია მხოლოდ ერთი ასაფრენი ბილიკი. შესაბამისად, ხორციელდება ფრენები ახლო მანძილზე, მაგალითად თუშეთის მიმართულებით.

## ფართობი

თელავის მუნიციპალიტეტის ფართობი 1095კმ<sup>2</sup>-ია, რაც კახეთის რეგიონის 9,68%-ს შესდგენს. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 33156 ჰა უკავია. აღნიშნული ტერიტორიების 39% სამოვარია, 35% სახნავ-სათესი, 19% - მრავალწლოვანი ნარგავები და 7% - საკარმიდამო. (იხ. გრაფიკი N1).

### გრაფიკი N1

**სასოფლო - სამეურნეო მიწის განაწილება კატეგორიების მიხედვით**



## გეოგრაფია

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12 °C, ნალექების რაოდენობა 700-800 მმ წელიწადში.

თელავის მუნიციპალიტეტის მთავარ ჰიდროლოგიურ არტერიას ქმნის მდინარე ალაზანი და მისი აუზი. აღსანიშნავია მდინარეები: სტორი, კისისხევი, ლოპოტა, თურდო, თელავისხევი და სხვა.

### რელიეფი

მუნიციპალიტეტის ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით რთული აგებულებისაა. თელავის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაწილი გაშლილია ალაზნის აკუმულაციურ ვაკეზე, რომელიც გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს ტექტონიკურ ერთეულს. შემოზღუდულია სამხრეთ-დასავლეთით გომბორის ქედით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით კახეთის კავკასიონით. აქაურ მიწებზე ვაკის სიმაღლე აღწევს 350-600 მ-ს.

მუნიციპალიტეტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იჭრება გომბორის ქედი, რომელიც აგებულია მეზოზოური და კაინოზოური წყებებით. სწორედ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა გომბორის ქედის უმაღლესი მწვერვალი - ცივი (1991 მ). მწვერვალი ცივი აგებულია მიო-პლიოცენური ფხვიერი ნალექებით - კონგლომერატებით, თიხებითა და ქვიშაქვებით.

მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულია ასევე ანდარაზანის ქედი (კახეთის კავკასიონის სამხრეთ განშტოება), რომელიც მდინარეების დიდხევისა და ლოპოტის წყალგამყოფს წარმოადგენს. აგებულია ლიასის თიხა ფიქლებით. ქედის ჩრდილოეთ ნაწილში აღმართულია მწვერვალი დიდიანდარაზანი (3039 მ). სამხრეთ მონაკვეთში კი აღმართულია მწვერვალი პატარაანდარაზანი (2448 მ). თელავის მუნიციპალიტეტს უჭირავს კახეთის კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთი კალთები: საჯიხვე-გირგალისა და ნაქერალის შტო ქედებს შორის. აგებულია იურული და ცარცული თიხა ფიქლებით, აგრეთვე მერგელებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით.

### შეგანგებები

თელავის მუნიციპალიტეტის მთავარ ჰიდროლოგიურ არტერიას ქმნის მდინარე ალაზანი და მისი აუზი. გამოსაყოფია მდინარე სტორი (სიგრძე 38 კმ), რომელიც წყალს იკრებს კახეთის კავკასიონის სამხრეთი კალთიდან. იკვებება თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყლით. მწვერვალ ცივის სამხრეთიდან რამდენიმე კმ-ის მოშორებითი წყება მდინარე კისისხევი (სიგრძე 37 კმ), რომლის სათავეში განვითარებულია ბედლენდები.

საყურადღებო ჰიდროლოგიური ერთეულია მდინარე ლოპოტა (სიგრძე 33 კმ) მარჯვენა შენაკად დიდხევი. ლოპოტა ჩამოედინება კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთიდან. იგი ჯერ ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება შემდეგ კი იჭრება თელავის მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტში შემოსვლის შემდეგ მდინარე უხვევს დასავლეთისაკენ, ხოლო შემდეგ მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ. სოფლებს სანიორესა და ნაფარეულის გავლის შემდეგ ლოპოტა რამდენიმე ღელეს სახით მიემართება ალაზნისაკენ (ერთვის მარცხენა მხრიდან). ლოპოტა ზოგჯერ დვარცოფულია. მისი მთავარი შენაკადია დიდხევი (სიგრძე 19 კმ).

პერიოდული მდინარეებიდან აღსანიშნავია მდინარე თურდო (სიგრძე 32 კმ), რომელიც სათავეს გომბორის ქედზე იღებს. ალაზნის ვაკეზე ქმნის გამოზიდვის კონუსს. მდინარის კვებაში მთავარ როლს თამაშობს წვიმის წყალი და შედარებით უმნიშვნელოდ თოვლის წყალი.

ტიპურისელოური მდინარეა თელავისხევი (სიგრძე 21 კმ), რომელიც ალაზანს მარჯვნიდან შეერთვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაედინება ასევე პატარა მდინარეები აკურის ხევი (სიგრძე 9 კმ) და ვანთისხევი.

#### ჰავა

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12 °C, აბსოლუტურ მაქსიმუმი 39 °C, ნალექები 700-800 მმ წელიწადში.

გომბორის ქედზე ზღვის დონიდან 1200 მ-მდე ზომიერად ნოტიო ჰავაა. ცივის მწვერვალზე ტემპერატურა უდრის 4 °C-ს.

კახეთის კავკასიონზე ზღვის დონიდან 1200 მ-მდე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა. ნალექები 1150 მმ. სუბალპურ ზონაში ნალექიანობა მატულობს 2000 მმ-მდე.

#### ნიადაგები

ალაზნის მარცხენა მხარეზე ჩამოყალიბებულია მდელო-ტყის ალუვიური უკარბონატო ნიადაგი. მარჯვენა მხარეზე კი ალუვიური კარბონატული ნიადაგი. მთისწინეთის ზონაში განვითარებულია ყავისფერი ნიადაგი. კახეთის კავკასიონისა და ქედების კალთების ქვემო ნაწილში ფართოფოთლოვანი ტყის ქვეშ, გავრცელებულია ტყის ყომრალი ნიადაგი. გომბორის ქედის კირქვიან კონგლომერატებზე გვხვდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგი.

#### ლანდშაფტები

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ლანდშაფტის შემდეგისახეები:

1. გამოზიდვის კონუსებიანი ვაკე ტყე ბუჩქნარით პროლუვიური და ნეშომპალა კარბონატული ნიადაგებით;
2. გამოზიდვის კონუსებიანი მთისწინეთი მუხნარით, ტყის ყავისფერი და ნეშომპალა კარბონატული ნიადაგებით;
3. დაბალი მთები მუხნარით და მუხნარ-რცხილნარით ტყის ყავისფერ და ყომრალ ნიადაგებზე;
4. საშუალო მთები წიფლის, მუხისა და წაბლის ტყეებით, ტყის ყომრალი ნიადაგებით;
5. სუბალპური მდელოები მთის მდელოს ნიადაგებით;
6. ალპური მდელოს ლანდშაფტი მთის მდელოს ნიადაგებზე.

## ფლორა და ფაუნა

### ფლორა

მუნიციპალიტეტის მიწების დიდი ნაწილი უჭირავს მთისწინეთის და დაბალმთიანეთის მუხნარ-რცხილნარსა და სხვა ფართოფოთლოვან ტყეებს. ალაზნის ვაკეზე შემორჩენილია ლეშამბიანი ტყე.

გომბორის ქედის საშუალმთიანეთში გვხვდება მუხნარ-რცხილნარი და წიფლნარი. ზღვის დონიდან 2000 მ-მდე გაბატონებულია წიფლნარი, რომელშიც შერეულია რცხილა და არყისხე. კახეთის კავკასიონის კალთაზე ზღვის დონიდან 800-1000 მ-მდე გაბატონებულია მუხნარ-რცხილნარი, რომელშიც შერეულია წიფელი, ზოგან ცაცხვი და წაბლი.

ზღვის დონიდან 2500 მ-მდე გვხვდება ტყე, ბუჩქნარი და მდელოები.

### ფაუნა

თელავის მუნიციპალიტეტის ფაუნას შეადგენენ: მურადათვი, არჩვი, შველი; თითქმის ყველგანაა კურდღელი, მგელი, მელა, ტურა, მემინდვრია, ვირთაგვა, ძილგუდა, გარეული ღორი და სხვ. ორნითო ფაუნას ქმნიან: ბუ, არწივი, კოდალა, ყვავი დაა.შ.

მდინარეებში გვხვდება კარჩხალი, ხრამული, კობრი, გოჭალა, ჭანარი დასხვა.

## მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. წარმომადგენლობით ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და ფუნქციონირებს 5 კომისია და ფრაქციები.

თელავის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტებში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირებისა (აიპ) და მუნიციპალური შპს-ების მეშვეობით.

### მოსახლეობა

მუნიციპალიტეტში 2014 წლის აღწერით 58350 ადამიანი ცხოვრობს, რაც რეგიონის მოსახლეობის 18,4 %-ია, ქვეყნის მოსახლეობის 1,5 %-ს შეადგენს. მოსახლეობის 48,2% -ს მამაკაცები შეადგენენ, ხოლო ქალები 51,8%. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2020 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 55300 ადამიანს შეადგენს. მათ შორის 35700 სოფლად ცხოვრობს, 19600-ქალაქ თელავში.

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)


	(კაცი)		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
<b>თელავის მუნიციპალიტეტი</b>	<b>58,350</b>	<b>28,102</b>	<b>30,248</b>
0-5	4,589	2,412	2,177
6-18	8,411	4,512	3,899
19-59	32,136	15,817	16,319
19-64	35,977	17,540	18,437
60 +	13,214	5,361	7,853
65 +	9,373	3,638	5,735
<b>ქ. თელავი</b>	<b>19,629</b>	<b>8,968</b>	<b>10,661</b>

0-5	1,674	855	819
6-18	3,056	1,594	1,462
19-59	10,941	5,091	5,850
19-64	12,163	5,584	6,579
60 +	3,958	1,428	2,530
65 +	2,736	935	1,801
<b>თელავის მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლება</b>	<b>38,721</b>	<b>19,134</b>	<b>19,587</b>
0-5	2,915	1,557	1,358
6-18	5,355	2,918	2,437
19-59	21,195	10,726	10,469
19-64	23,814	11,956	11,858
60 +	9,256	3,933	5,323
65 +	6,637	2,703	3,934

მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე შეადგენს 53 კაცს; მაღალმთიან დასახლებებში მაცხოვრებლების რაოდენობა მუნიციპალიტეტში შეადგენს 214 კაცს; მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 13444 პენსიონერი, 5310 ოჯახი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეა.

ქალაქად მაცხოვრებელი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 34%-ია. მათი საშუალო ასაკი 37,8 წელია, ხოლო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საშუალო ასაკი - 40,3 წელი. საშუალო ასაკი ასევე განსხვავებულია სქესის მიხედვითაც: მამაკაცების საშუალო ასაკი 37.3 წელს შეადგენს, ხოლო ქალების - 41.6-ს. (იხ. გრაფიკი N2).

- გრაფიკი N2
- თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო ასაკი



- შრომისუნარიანი ასაკის ადამიანები მოსახლეობის 66%-ს შეადგენენ.
- **დასახლებები**
- **ქ. თელავი**  
სასოფლო დასახლება
- აკურის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი აკურა
- ვანთის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ვანთა
- ბუშეტის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ბუშეტი



- ქვემო ხოდაშენის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ქვემო ხოდაშენი
- წინანდალის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი წინანდალი
- კონდოლის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი კონდოლი
- კისისხევის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი კისისხევი
- ნასამხრალის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ნასამხრალი
- შალაურის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი შალაური
- კურდღელაურის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი კურდღელაური
- გულგულის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი გულგულა
- ვარდისუბანის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ვარდისუბანი
- რუისპირის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: რუისპირი, ახატელი
- ყარაჯალის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ყარაჯალა
- იყალთოს ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი იყალთო
- ნაფარეულის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ნაფარეული
- ლაფანყურის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ლაფანყური
- სანიორის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: სანიორე, ჯუღაანი
- ართანის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ართანა
- ფშაველის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: ფშაველი, ლეჩური
- ლალისყურის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელი ლალისყური
- თეთრიწყლების ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: თეთრიწყლები, კობაძე, სეროდანი, პანტიანი, ნადიკვარი

თელავის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2020 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)
სულ საქართველო	3,728,600.00	69,700.00
კახეთის რეგიონი	309,600.00	11,310.00
თელავის მუნიციპალიტეტი	59,700.00	1,095.00
პროცენტი საქართველოსთან	1.60	1.57
პროცენტი რეგიონთან	19.28	9.68

## ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

თელავის მუნიციპალიტეტი მდიდარია ნაყოფიერი ნიადაგებით, ხე-ტყის რესურსით, გოგირდოვანი წყაროებით, ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყლის დეპოიტით, ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, ფიქალ-მარმარილოს საბადოებით, სამოვრებით და ტყის მასივებით.

ეკონომიკისა და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, თელავის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდია კახეთის რეგიონში. ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. სოფლის მეურნეობის დარგებიდან უმსხვილესია: მეცხოველეობა, მემინდვრეობა და მეღვინეობა-მევენახეობა. ასევე, თელავის მუნიციპალიტეტი კახეთის რეგიონში გამოირჩევა ბიზნეს სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის ყველაზე დიდი წილით. 2018 წლის მონაცემებით, პროდუქციის გამოშვებამ 538 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მთლიანად კახეთის წარმოების 47%, ბოლო ორ




წელიწადში პროდუქციის წარმოება 11%-ით გაიზარდა. თელავი კახეთის უდიდეს შრომის ბაზარს წარმოადგენს. რეგიონში დასაქმებულთა 39% სწორედ თელავის მუნიციპალიტეტშია დასაქმებული.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით გამოირჩევა მრეწველობა, მათ შორის ღვინის ქარხნები. 42 სამრეწველო საწარმოდან 28 მცირე და საშუალო ღვინის ქარხანაა, 31 - საოჯახო მარანი. მათ მიერ ექსპორტირებული პროდუქციის საერთო რაოდენობა წელიწადში 15 მილიონ ბოთლს აღწევს, რაც მთელი საქართველოს ექსპორტის დაახლოებით 20% შეადგენს. გარდა ამისა, სხვადასხვა ქვეყნებში ხდება ყველისა და ჩირის ექსპორტი.


რეგისტრირებული სუბიექტების მიხედვით ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი სექტორებია ვაჭრობა (53%), სოფლის მეურნეობა (28%), მრეწველობა (5%), მშენებლობა (5%) და მომსახურება (9%). 2017 წლისათვის თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 1000-მდე სამეწარმეო სუბიექტი (იხ. გრაფიკი N3).

გრაფიკი N3



სოფლის მეურნეობა თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი სექტორია. 2019 წლის მდგომარეობით, თელავის მუნიციპალიტეტში 1190 აქტიური ფერმერია რეგისტრირებული, ხოლო რეგისტრირებული კოოპერატივების რაოდენობა შეადგენს 30-ს. სოფლის მეურნეობის ყველაზე განვითარებული დარგებია: მეღვინეობა-მევენახეობა (585), მეცხოველეობა (244), რძის წარმოება (144), ხილის წარმოება (120) და მეფუტკრეობა (98). თელავის მუნიციპალიტეტში 59 აქტიური სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოა, რომლებიც მეტწილად მოღვაწეობენ ზემოთ აღნიშნულ დარგებში. (იხ. გრაფიკი N4).

#### გრაფიკი<sup>1</sup>N4



#### განათლება

თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც საკმაოდ დიდი ინფრასტრუქტურა გააჩნია. საბაკალავრო პროგრამებს შორის ყველაზე პოპულარულია ისტორიის, სასურსათო ტექნოლოგიების, ბიოლოგიის, ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები, ხოლო მაგისტრატურის პროგრამებს შორის, ყველაზე პოპულარულია - ბიზნეს ადმინისტრირება და კვების პროდუქტების ტექნოლოგიები.

მუნიციპალიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“. განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს მეღვინის, მეტყევის, მზარეულისა და ბუღალტრის პროფესიები. აღნიშნული პროფესიები თანხვედრაშია ბიზნეს სექტორის მიერ თელავში მოთხოვნად ვაკანსიებთან.

#### ტურიზმი

ტურიზმის თვალსაზრისით, კახეთი, კერძოდ კი თელავი, საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა. ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, თელავშიც შეინიშნება ტურისტული ნაკადების ყოველწლიური მატება. 2019 წლის მონაცემებით კახეთის რეგიონში შემოსული ტურისტების რაოდენობა ყოველთვიურად 16-დან 70 ათასამდე მერყეობს, საიდანაც დაახლოებით 70-80% სტუმრობს თელავს. სტატისტიკურად საქართველოში ჩამოსული ტურისტი ხარჯავს დაახლოებით 364 აშშ დოლარს

ტურიზმის ყველაზე აქტიური მიმართულებებია: ღვინის, გამაჯანსაღებელი, კულტურული და გასტრონომიული ტურიზმი.

მუნიციპალიტეტში მრავლადაა, როგორც მაღალი კლასის, ასევე საოჯახო ტიპის სასტუმროები. 2018 წელს სოფელ წინანდალში გაიხსნა საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო - „Radisson Collection“, ხოლო 2019 წელს ქალაქ თელავში გაიხსნა კიდევ ერთი საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო - „Holiday Inn“. თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წლის მონაცემებით ფუნქციონირებს 33 სასტუმრო (2560 საწოლი) და 65 საოჯახო ტიპის სასტუმრო (900 საწოლი).

ქალაქის ცნობადობის ზრდას ხელს უწყობს საზღვარგარეთის 12 დამეგობრებული ქალაქი, რომლებთანაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მემორანდუმით გათვალისწინებულ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კულტურა, განათლება, სპორტი, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და ა.შ.

<sup>1</sup>ზოგიერთი ფერმერის საქმიანობის რამდენიმე სექტორში, ამიტომ გრაფიკზე მოცემული მონაცემების ჯამი არიქნება აქტიური ფერმერების რაოდენობის ტოლი

თელავის მუნიციპალიტეტის გარე პოზიციონირებისა და ცნობადობის გაზრდას ხელს უწყობს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომელსაც ყოველდღიურად ათობით ტურისტი სტუმრობს.

საერთაშორისო ფესტივალებსა და ბაზრობებზე ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ თელავის მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა ღვინის კომპანიები, რომელთა მიერ ნაწარმოები პროდუქცია მოწინავე პოზიციებს იკავებს და ცნობადს ხდის მუნიციპალიტეტს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთაც.

### ღირშესანიშნაობები

თელავის ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია:

თელავის ისტორიული მუზეუმი, მეფე ერეკლეს სასახლე. მიმდებარე ტერიტორიაზე - 900 წლოვანი ჭადარი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი დაარსდა 1927 წელს, როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 8 წლის განმავლობაში მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა. 1935 წელს გადაკეთდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად. მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარეობს „ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც დღემდე შემორჩენილი ერთადერთი სამეფო სასახლეა საქართველოში.



### იყალთო

სამონასტრო კომპლექსი თელავის ჩრდილოეთით, 7-8 კმ-ზე მდებარეობს. დაარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამათაგანმა ზენონმა VI საუკუნეში. ადრე აქ აკადემია იყო. გადმოცემის თანახმად, აქ დაარსდა უმაღლესი სკოლა - აკადემია, სადაც ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი წმ. არსენი იყალთოელი მოღვაწეობდა (XI-XII სს.). მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია 3 ეკლესია: ფერისცვალების ეკლესია „ღვთაება“; სამების მცირე ეკლესია; ყველაწმინდის ერთნავიანი ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი. ამჟამად მონასტრის ეკლესიები მოქმედია. აქ განისვენებენ წმ. ზენონ (ხსენების დღე-20 მაისი) და წმ.არსენი (ხსენების დღე-19 თებერვალი) იყალთოელები.



### ძველი და ახალი შუამთა

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი — გვიანი შუა საუკუნეების ქართული ძეგლი შუამთა — ქართული მართლმადიდებლური მონასტერი თელავის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს ტყეში, თელავიდან 7 კმ-ზე. სამონასტრო კომპლექსში შედის: V საუკუნის ბაზილიკა, ქრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუში საქართველოში; VII საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია. ახალი შუამთა - მართლმადიდებლური დედათა მონასტერი კახეთში, ახლანდელ თელავის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ქალაქ თელავთან ახლოს, ცივგომბორის მთის კალთაზე. მონასტერი დაფუძნდა XVI საუკუნის 50-იან წლებში.



### SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სიახლოვე დედაქალაქთან და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან;</li> <li>✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიუხვე;</li> <li>✓ მრავალფეროვანი და ლამაზი ბუნება;</li> <li>✓ ხელსაყრელი კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგები;</li> <li>✓ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიუხვე;</li> <li>✓ საგანმანათლებლო ბაზა;</li> <li>✓ ხელსაყრელი პირობები გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის;</li> <li>✓ აეროპორტის ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ბუნებრივი რესურსების პოტენციალის გამოუყენებლობა;</li> <li>✓ მიწების დანაწევრება;</li> <li>✓ მოსახლეობის დაბერების ტენდენციები;</li> <li>✓ მიგრაციული პროცესები („ტვინების გადინება“);</li> <li>✓ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ინტენსივობა;</li> <li>✓ ფერმერთა კოოპერაციის დაბალი დონე;</li> <li>✓ ფერმერებსა და მყიდველებს შორის წინასწარი ეფექტური საკონტაქტო სისტემის არარსებობა;</li> </ul>



<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი ასორტიმენტი;</li> <li>✓ მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიული კუთხე;</li> <li>✓ სასტუმროების და საოჯახო ტიპის სასტუმროების სიუხვე;</li> <li>✓ წყლის რესურსების სიუხვე;</li> <li>✓ მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დიდი მოცულობა რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ არასრულყოფილი ტურისტული ინფრასტრუქტურა;</li> <li>✓ კვალიფიციური კადრების დეფიციტი;</li> <li>✓ ახალი და მცირე ბიზნესისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომა;</li> <li>✓ დამოკიდებულება ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერზე;</li> </ul>
შესაძლებლობები/პერსპექტივები	საფრთხეები/რისკები
<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავება;</li> <li>✓ გრძელვადიანი და იაფი საკრედიტო რესურსების მოძიება ახალი და მცირე საწარმოებისათვის;</li> <li>✓ შიდა აეროპორტის განვითარება;</li> <li>✓ მუნიციპალიტეტსა და ბიზნეს შორის სტრუქტურული საკომუნიკაციო მექანიზმის შექმნა;</li> <li>✓ მუნიციპალიტეტსა და ბიზნეს სექტორს შორის გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნა;</li> <li>✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (საკემპინგე ადგილები და ა.შ.);</li> <li>✓ საგანმანათლებლო ბაზის განვითარება;</li> <li>✓ მიგრანტების (დიასპორის) შესაძლებლობების გამოყენება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ მოსახლეობის მიგრაცია („ტვინების გადინება“);</li> <li>✓ საქონლისა და ნარგავების დაავადებების მასიური გავრცელება;</li> <li>✓ სტიქიური მოვლენები;</li> <li>✓ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შეფერხება.</li> <li>✓ პანდემია ( კოვიდ 19)</li> </ul>

## ბიუჯეტი

თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ცვლილებების გათვალისწინებით შეადგენს 43878,12 ათას ლარს. მათ შორის ბიუჯეტის შემოსულობები 34584,8 ათასი ლარია. აქედან შემოსავლები 30584,83 ათას ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ცვლილება 4000,0 ათას ლარს, გრანტები 7834,7 ათას ლარს, ხოლო ფინანსური აქტივების ცვლილება (-9293,28) ათას ლარს.

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2022-2025 წლებისათვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2022-2025 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა თელავის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად,

ფინანსთა სამინისტროს 2022-2025 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა თელავის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების წარმოდგენილი პროგნოზები.

მთლიანობაში მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ბიუჯეტს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ შეცვლილა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. ინფლაციის შესაბამისად შესაძლებელია გაიზარდოს მიმდინარე ხარჯები, არსებული პარამეტრებით ზრდის ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებზე. მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2022-2025 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება.

### თელავის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2020-2025 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
<b>სულ შემოსულობები</b>	<b>37,271.25</b>	<b>34,584.83</b>	<b>27,695.50</b>	<b>27,983.20</b>	<b>29,638.00</b>	<b>31,470.50</b>
გადასახადები	16,947.71	19,890.00	22,845.40	24,497.9	26,127.3	27,909.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	13,041.18	15,790.00	17,845.40	19,397.9	21,027.3	22,709.5
ქონების გადასახადი	3,906.53	4,100.00	5,000.00	5,100.0	5,100.0	5,200.0
გრანტები	16,185.82	7,834.07	310.00	310.0	310.0	310.0
სხვა შემოსავლები	2,649.34	2,860.77	2,540.10	2,520.2	2,600.7	2,651.0
არაფინანსური აქტივების კლება	1488.38	4,000.00	2,000.00	655.1	600.0	600.0

### გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2022-2022 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. თელავის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება (სკოლამდელი აღზრდა);
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

### თელავის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2020-2025 წლებში

ათასი ლარი



კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
	<b>სულ</b>	<b>35269.38</b>	<b>43878.12</b>	<b>27695.50</b>	<b>27,983.20</b>	<b>29,638.00</b>	<b>31,470.50</b>
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4096.61	4895.20	6210.80	6,130.90	6,076.80	6,010.80
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17755.02	20568.48	6934.10	6,302.50	6,805.70	7,400.20
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1167.43	1575.00	1160.80	1,115.00	1,682.20	2,095.00
04 00	განათლება	5656.47	7649.77	5928.60	6,370.50	6,700.20	6,860.20
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3981.35	4984.00	4865.00	5,325.90	5,614.60	6,325.80
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2612.50	4205.66	2596.20	2,738.40	2,758.50	2,778.50

## ბიუჯეტის ბალანსი

### თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2020 - 2025 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
<b>I. შემოსავლები</b>	<b>35,782.87</b>	<b>30,584.83</b>	<b>25,695.50</b>	<b>27,328.10</b>	<b>29,038.00</b>	<b>30,870.50</b>
გადასახადები	16,947.71	19,890.00	22,845.40	24,497.90	26,127.30	27,909.50
გრანტები	16,185.82	7,834.07	310.00	310.00	310.00	310.00
სხვა შემოსავლები	2,649.34	2,860.77	2,540.10	2,520.20	2,600.70	2,651.00
<b>II. ხარჯები</b>	<b>21,817.68</b>	<b>27,224.75</b>	<b>24,384.90</b>	<b>24,149.40</b>	<b>24,735.00</b>	<b>25,243.00</b>
შრომის ანაზღაურება	2,479.75	2,927.00	4,000.00	3,660.10	3,660.10	3,660.10
საქონელი და მომსახურება	4,317.16	5,748.07	6,227.90	5,828.00	6,111.50	6,646.50
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
პროცენტი	94.62	256.06	435.00	409.00	342.90	275.90
სუბსიდიები	7,808.02	10,194.26	11,090.30	11,893.40	12,240.60	12,250.60
გრანტები	87.33	118.38	50.00	50.00	50.00	50.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,553.85	2,043.33	1,581.90	1,579.90	1,599.90	1,614.90
სხვა ხარჯები	5,476.95	5,937.66	999.80	729.00	730.00	745.00
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>13,965.20</b>	<b>3,360.09</b>	<b>1,310.60</b>	<b>3,178.70</b>	<b>4,303.00</b>	<b>5,627.50</b>

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11,613.01	12,530.07	1,187.30	2,542.90	3,667.20	4,991.70
ზრდა	13,101.39	16,530.07	3,187.30	3,198.00	4,267.20	5,591.70
კლება	1,488.38	4,000.00	2,000.00	655.10	600.00	600.00
V. მთლიანი სალდო	2,352.19	-9,169.98	123.30	635.80	635.80	635.80
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	2,001.87	-9,293.28	0.00	0.00	0.00	0.00
ზრდა	2,001.87	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	2,001.87	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	0.00	9,293.28	0.00	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	0.00	9,293.28	0.00	0.00	0.00	0.00
VII. ვალდებულებების ცვლილება	-350.31	-123.30	-123.30	-635.80	-635.80	-635.80
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	350.31	123.30	123.30	635.80	635.80	635.80
საშინაო	350.31	123.30	123.30	635.80	635.80	635.80
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
VIII. ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

## 2.2. გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

### 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

#### ფაქტიური შემოსულობების მიხედვით:

- გადასახადების დაზუსტებული გეგმა შეადგენს 16597,9 ათ. ლარს, გეგმა შესრულდა 16947,71 ათ. ლარით, (102,11%-ით)

- დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი იყო 12497,9 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 13041,18 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 104,35%-ით.

- ქონების გადასახადიდან 2020 წლის განმავლობაში შემოვიდა 3906.53 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 4100.0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 95.28%-ით,

- გრანტების გეგმა განსაზღვრული იყო 16453,59 ათასი ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 16185,82 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 98,37%-ით.

-სხვა შემოსავლები, დაგეგმილი იყო 2607,3 ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 2649,34 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 101,61%-ით.

აქედან: შემოსავლები საკუთრებიდან დაგეგმილი იყო 1179,1 ათ. ლარი, შემოსავალმა შეადგინა 1201,28 ათ.ლარი;

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია- დაგეგმილი იყო 515,1 ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 468,18 ათ.ლარი;

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 98,53%-ით. დაგეგმილი იყო 750,0 ათ.ლარი. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 738,98 ათ.ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 163,15 ათ.ლარი, დაგეგმილი იყო 240,91 ათ ლარი, გეგმა შესრულდა გადაჭარბებით, 147,66%-ით.

-არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი იყო 1435,0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1488,38 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 103,72%-ით. მ.შ. 55.107 ათ. ლარი - ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (შემოსულობა სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ.თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფოს სარგებლობაშია), 1433,27 ათ.ლარი - არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან: მ.შ. 361.90 ათ. ლარი - შემოსულობა სახელმწიფო საკუთებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ.თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე, 449.35 ათ. ლარი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, 55,01 ათ. ლარი - შემოსულობა სახელმწიფო საკუთებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ.თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე, 564,09 ათ. ლარი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, ხოლო 2,92 ათ. ლარი - შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან.

2020 წელს მიღებული შემოსულობებით და გარდამავალი ნაშთის ასახვით მობილიზებული თანხები ძირითადად მიმართული იქნა და დაიხარჯა დასახული პრიორიტეტების დასაფინანსებლად, მ.შ:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 17755.02 ათ. ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1167.43 ათ. ლარი;
- განათლება - 5656,47 ათ. ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3981,35 ათ. ლარი;
- ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2612,50 ათ. ლარი;

თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულება განხორციელდა დასახული პრიორიტეტების გათვალისწინებით. ადგილობრივი ბიუჯეტით და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდა: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (განხორციელდა - სოფლებში: წინანდალი, ქვ. ხოდაშენი, შალაური, ნაფარეული, სანიორე, ფშაველი, გულგულა, თეთრწყლები, კისისხევი, შალაური, ქ. თელავში: გრიბოდოვის ქუჩა, მეგობრობის ქუჩა, ორბელიანის ქუჩა, ბოჭორიძეების ქუჩის და სოფ. კურდღელაურის N22 ქუჩის დამაკავშირებელი გზა, ქ. თელავში ახალი ბიზნესკლასტერის ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო გზა - გზების რეაბილიტაცია), ქ. თელავში ტროტუარების რეაბილიტაცია (მ.შ ქ. თელავში ჭავჭავაძის გამზირის და რუსთაველის გამზირის გარკვეული მონაკვეთების და ალაზნის გამზირზე ტროტუარის რეაბილიტაცია). საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა, საექსპერტო მომსახურება. „თელავის მუნიციპალიტეტში შპს „ვილა იყალთო ჰორეკას“-თან მისასვლელი გზის და მასთან ერთად გაზომმარაგების ინფრასტრუქტურის მოწყობის თანადაფინანსება; 2020 წელს დაიწყო და 2021 წელს გაგრძელდა ქ. თელავში იაშვილის ქუჩის და ბარათაშვილის ქუჩის, სოფ. ნასამხარალის, სოფ. კონდოლის, სოფ. წინანდლის გზების რეაბილიტაცია. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქუჩების ორმოული და ეკრანული შეკეთება, საგზაო მონიშვნების მოწესრიგება, შუქნიშნების მოვლა-პატრონობა,

განხორციელდა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა. დასრულდა ქ. თელავში ჭავჭავაძის გამზირზე N2-ში და ქ. წამებულის ქუჩაზე N5, N7, N9 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაცია. განხორციელდა 2020 წლის 15-16 ივლისს თელავის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ქარიშხალი, ძლიერი წვიმა, სეტყვა) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით, მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოწესრიგდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები, სადარბაზოები და სხვ. 2020 წელს თელავის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი სიახლე იყო მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება. დაიწყო მუნიციპალური ტრანსპორტისათვის სადგომის და დამხმარე ნაგებობების მშენებლობა. წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით 2020 წელს განხორციელდა სოფ. ნასამხრალში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, დაიწყო და 2021 წელს გაგრძელდა სოფ. ფშაველში, სოფ. კონდოლში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, 2020 წელს დაიწყო სოფ. იყალთოში, სოფ. რუისპირში, სოფ. ვარდისუბანში, სოფ. შალაურში სასმელი წყლის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით დამატებით ჭაბურღილების მოწყობა, აღნიშნული სამუშაოები დასრულდა 2021 წელს. განხორციელდა ბუნებრივი წყაროების ლაბორატორიული კვლევა. სასმელი წყლის ჭაბურღილების შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ჭაბურღილების მუშაობაზე გახარჯული ელ.ენერგიის თანხის ანაზღაურება, ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა, სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა, 2020 წელს მუნიციპალიტეტის სოფლებში (იყალთო, რუისპირი, კურდღელაური, წინანდალი, ყარაჯალა, არათნა, ფშაველი, ლაფანყური, ვარდისუბანი, გულგულა, ყარაჯალა, ახატელი და სხვა) მოეწყო ახალი გარე - განათების ქსელი. გარე - განათების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გახარჯული ელ. ენერგიის ანაზღაურება და მოვლა - პატრონობა. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოები მოვლა - პატრონობა (დასუფთავება)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პრიორიტეტის ფარგლებში, ხორციელდებოდა ქ. თელავის ქუჩების ყოველდღიური დაგვა - დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. გაფორმდა ხელშეკრულებები ნაგვის ურნების და დასუფთავების ღონისძიებებისათვის თვითმცლელი მანქანების შეძენაზე, რომელთა მოწოდებაც ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, განხორციელდა 2021 წელს. განხორციელდა დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა, ხეების გაწმენდა, მაწანწალა ცხოველებისაგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტისათვის ერთ - ერთი პრიორიტეტია სკოლამდელი განათლება, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებული არიან ააიპ „ბაგა ბაღების მართვის სააგენტო“ - ში. 2020 წელს განხორციელდა სოფ. წინანდლის, სოფ. აკურის, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია, 2021 წელს დასრულდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუშეტის, სოფ. ქვ.ხოდაშენის, სოფ. წინანდლის, სოფ. კონდოლის, სოფ. კურდღელაურის, სოფ. გულგულის, სოფ. ლაფანყურის და სოფ. არათნის სოფ. კისისხევის, სოფ. თეთრწყლების, ქ.თელავის N5 ბაგა-ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები. აგრეთვე სოფ. გულგულის ბაგა-ბაღის სეპტიკის მოწყობის სამუშაოები, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღის ფლიგელის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის მიმართულება, ერთ-ერთი პრიორიტეტია თელავის მუნიციპალიტეტისათვის. 2020 წელს, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიიდან გამომდინარე სპორტული და კულტურული ორგანიზაციები ფუნქციონირებდნენ ქვეყანაში პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტწილად ვერ განხორციელდა წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებები.

თელავის მუნიციპალიტეტისათვის კვლავ პრიორიტეტია მოსახლეობაზე ზრუნვა, მათთვის სოციალური პირობების, გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში. აღნიშნულის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტში მოქმედებს სხვადასხვა სოციალური პროგრამა, რაც ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ავადმყოფთა, გაჭირვებულთა და სხვადასხვა სოციალურად დაუცველ პირთათვის, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა - ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების

დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც სოციალურად დაუცველი ახალშობილთა ოჯახების(ერთჯერად) და მრავალშვილიანი ოჯახების (ყოველთვიურად) ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირებზე ზრუნვა, მათი კვებით უზრუნველყოფა. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მედიკამენტებითა და სამედიცინო დახმარების მომსახურების დაფინანსება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსებას, გარდაცვლილ ვეტერანთა, დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ღონისძიებების დაფინანსება და სხვა.

**2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით:**

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გადასახდელების გეგმა შესრულდა 89.14%-ით, გეგმით გათვალისწინებული იყო 4075.8 ათ.ლარი (აქედან სარეზერვო ფონდი 3.2 ათ.ლარი), ხოლო ფაქტმა შეადგინა 3633.0 ათ.ლარი. აქედან - თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის გეგმა შესრულდა 88.72%-ით, გეგმა - 3898.0 ათ.ლარი, ფაქტი - 3458.38 ათ.ლარი.

თავდაცვის დაფინანსების გეგმა შესრულდა 78.14%-ით, დაგეგმილიყო - 145.0ათ.ლარი, შესრულდა - 113.3ათ.ლარით.

ეკონომიკურ საქმიანობაში, გეგმა შესრულდა 80.61%-ით. დაგეგმილი იყო - 10240.6ათ.ლარი, შესრულდა 8254.81 ათ.ლარით.

გარემოს დაცვა - გეგმა შესრულდა 76.08%-ით. დაგეგმილი იყო - 1548.6ათ.ლარი, შესრულდა 1178.12ათ.ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობის გეგმა შესრულდა 69.82%-ით. დაგეგმილი იყო - 13591.5ათ.ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 9489.53ათ.ლარი.

ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სფეროში გადასახდელების გეგმა შესრულდა 82.9%-ით. დაგეგმილი იყო 533.8 ათ.ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 442.54 ათ.ლარი.

გადასახდელების გეგმა დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში შესრულდა 82.76%-ით. დაგეგმილი იყო 4810.5 ათ.ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3981.35ათ.ლარი.

განათლების სფეროში დაგეგმილი იყო - 6892.4ათ.ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა5656.47ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 82.07%-ით.

რაც შეეხება სოციალურ დაცვას - გეგმა შესრულდა 89.02 % -ით. დაგეგმილი იყო - 2437.5ათ.ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა2169.95ათ.ლარი.

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა			2020 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი ტულის მაჩვენებელი %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,075.8	0.0	4,075.8	3,633.00	0.00	3,633.00	89.14
702	თავდაცვა	145.0	0.0	145.0	113.30	0.00	113.30	78.14
704	ეკონომიკური საქმიანობა	10,240.6	6,404.2	3,836.5	8,254.81	5,530.65	2,724.16	80.61



ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა			2020 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტული მაჩვენებელი %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
705	გარემოს დაცვა	1,548.6	143.8	1,404.8	1,178.12	143.68	1,034.44	76.08
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	13,591.5	6,651.7	6,939.8	9,489.53	5,148.30	4,341.22	69.82
707	ჯანმრთელობის დაცვა	533.8	169.9	363.9	442.54	85.14	357.40	82.90
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4,810.5	297.9	4,512.6	3,981.35	64.20	3,917.16	82.76
709	განათლება	6,892.4	1,354.4	5,538.0	5,656.47	837.20	4,819.27	82.07
710	სოციალური დაცვა	2,437.5	0.0	2,437.5	2,169.95	0.00	2,169.95	89.02

## 2021 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლების შესახებ

(2021 წლის 9 თვის ფაქტიური მონაცემებით)

2021 წლის თელავის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 43878,12 ათ. ლარს.

ბიუჯეტის შემოსულობების სახით 2021 წლის 9 თვის მონაცემებით მოზილიზებულია 23230,48 ათასი ლარი, მათ შორის:

გადასახადებიდან მიღებულმა საკასო შესრულებამ 9 თვის განმავლობაში შეადგინა 15350,83 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 77,18%-ს შეადგენს. მ.შ.

- დამატებული ღირებულების გადასახადი - 11694,90 ათ.ლარი;
- ქონების გადასახადიდან-3655,92ათ.ლარი.
- **გრანტების სახით** ბიუჯეტში ჩარიცხულია 1902,09 ათ.ლარი, მათ შორის
- **სხვა შემოსავლების** სახით შემოვიდა 2740,79 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 95,81%-ს შეადგენს.

მათ შორის: პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავალმა 9 თვის განმავლობაში შეადგინა 681,99 ათ.ლარი. მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 196,99 ათ. ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოვიდა 238,88 ათ.ლარი. **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მიღებულია 264,16 ათ. ლარი; **სანქციები (ჯარიმებიდან და საურავებიდან)** – 1215,19 ათ.ლარი. **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** -143,58 ათ.ლარი,

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3236,77ათ.ლარი, მ.შ. ძირითადი აქტივების გაყიდვიდან -213,79 ათ.ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან (მიწის) მიღებულმა შემოსავალმა - 3022,98 ათ. ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019–2021 წლის 9 თვის ფაქტიური შემოსულობების შესახებ			
ათას ლარებში			
	2019 წლის 9 თვე (ფაქტი)	2020 წლის 9 თვე (ფაქტი)	2021 წლის 9 თვე (ფაქტი)



<b>გადასახადები</b>	<b>14,972.43</b>	<b>11,756.68</b>	<b>15,350.83</b>
დამატებული ღირებულების გადასახადი	10,295.75	9,307.49	11,694.90
ქონების გადასახადი	4,676.68	2,449.20	3,655.92
<b>გრანტები</b>	<b>4,369.11</b>	<b>5,456.06</b>	<b>1,902.09</b>
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>2,815.25</b>	<b>1,937.41</b>	<b>2,740.79</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	636.57	871.61	1,117.86
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,257.95	402.62	264.16
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	890.68	551.15	1,215.19
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	30.05	112.02	143.58
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>153.80</b>	<b>1,385.42</b>	<b>3,236.77</b>
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	25.10	55.11	213.79
შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	128.71	1,330.32	3,022.98
<b>სულ შემოსულობების ჯამი</b>	<b>22,310.59</b>	<b>20,535.57</b>	<b>23,230.48</b>

2021 წლის ბიუჯეტით (43878,117 ათასი ლარი) გათვალისწინებულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - **20568,48** ათ. ლარი
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - **1575,00** ათ. ლარი
- განათლება - **7649,77** ათ. ლარი
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - **4984,00** ათ. ლარი
- ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა - **4205,66** ათ. ლარი
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - **4895,20** ათ. ლარი

2021 წელს თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის დახმარებების და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფისათვის, როგორცაა: ოპერაციული, სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება, მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების შესაძენად ფინანსური დახმარება, მრავალშვილიან ოჯახების დახმარება, ახალდაბადებულთა ოჯახების დახმარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება, მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამაჩაბლო-აფხაზეთი) დევნილ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება, საერო და რელიგიურ დღესასწაულებზე სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისთვის სასაჩუქრე ამანათების გაცემა (მათ შორის ფულადი) და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველსაყოფად დახმარება, დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირების დახმარება, უფასო სასადილოთი მომსახურების პროგრამა, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება და სხვა, გათვალისწინებულია 3744,33 ათასი ლარი; ხოლო ჯანდაცვის მიმართულებით გათვალისწინებულია - 461,34 ათ. ლარი, აქედან ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი ფინანსდება 140,0 ათ. ლარით, ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 321,34 ათ. ლარი, მ.შ. განხორციელდება სოფ. ართანაში და სოფ. ლეჩურში ამბულატორიების მშენებლობა.

▪ 2021 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დაგეგმილია 6354,76 ათასი ლარი, განხორციელდება გზების (ერისთავის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობა, ლეონიძის ჩიხის, ჭონქაძის III შესახვევის (უნივერსიტეტის ქუჩა), თეიმურაზ II-ის ქუჩის, მეგობრობის ქუჩის, სოხუმის ქუჩის, ლეონიძის ქუჩის, აბანოს I შესახვევის, ბარათაშვილის ქუჩის, სოფ. წინანდლის, სოფ. კურდღელაურში აკურაში, ვარდისუბანში, იყალთოში, ბუშეტში, ნასამხრალი, შალაური, ართანა, ნაფარეული, ლაფანყური

და სხვ) რეაბილიტაცია. ქ. თელავში მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ გადასასვლელი ბოგირის მოწყობა, ქ. თელავში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებული დაზიანებული ტროტუარების რეაბილიტაცია, ახალი ტროტუარების და პარკინგის მოწყობა. განხორციელდება ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციის (ე.წ. ორმოული და ეკრანული შეკეთება) სამუშაოები, რომელიც განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მოითხოვს შეკეთებას. დაგეგმილიასხვადასხვა სახის საგზაო ნიშნების, შუქნიშნებისა და ქვეითთა გადასასვლელების მოწესრიგება. საჭიროების შესაბამისად მოხდება სხვადასხვა ლოკაციებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება, საგზაო მონიშვნების დახაზვა, სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერების მოწყობა. განხორციელდება ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მოვლა-პატრონობა, აღდგენა/რეაბილიტაცია. უსაფრთხოების მიზნით თოვლიანი ამინდის შემთხვევაში ხორციელდება საავტომობილო გზების თოვლისგან გაწმენდა და სხვა.

▪ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის გამოყოფილია 250.0 ათასი ლარი, რომლითაც განხორციელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, სადარბაზოებში სენსორული სანათების დამონტაჟება და სხვა; აგრეთვე, დაგეგმილია ქ. დუშბაძის ქუჩაზე მდებარე N17, N19 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება აგრეთვე 2020 წელს 15 ივლისს მომხადარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, კერძოდ საცხოვრებელი სახლებისადგენითი სამუშაოები. აგრეთვე, ხანძრის შედეგად დამწვარი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ახალი სახურავების მოწყობა და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 4368,69 ათ. ლარი;

▪ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესების, წყლის სისტემების ფუნქციონირების და გამართული მუშაობის უზრუნველყოფისათვის, ჩამდინარე წყლების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის და ექსპლუატაციისათვის გათვალისწინებულია 4393,40 ათ. ლარი; რეაბილიტაცია ჩატარდება სასმელი წყლის ქსელებს (სოფ. წინანდალი, სოფ. გულგულა, სოფ. ქვ. ხოდაშენი, სოფ. კონდოლში, სოფ. ფშაველში და სხვა). მოეწყობა სასმელი წყლის ახალი ჭაბურღილები (სოფ. გულგულა, სოფ. ბუშეტი, სოფ. ლალისყური, სოფ. იყალთო, შალაური, რუისპირი, ვარდისუბანი და სხვა). მოეწყობა სასმელი წყლის ჭაბურღილებთან დამატებით რეზერვუარები (სოფ. ჯურაანში, სოფ. ვარდისუბანში, სოფ. შალაურში, სოფ. იყალთოში და სხვა). განხორციელდება ჭაბურღილებისათვის ელ. მომარაგების აღრიცხვის ახალი კვანძის მოწყობა და სიმძლავრის გაზრდა, სასმელი წყლის სისტემების დაზიანების შემთხვევაში წერტილოვანი შეკეთება, სასმელი წყლის სამარაგო რეზერვუარების და ჭაბურღილების გაწმენდა, დაფინანსდება ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯის ანაზღაურება. განხორციელდება ბუნებრივი წყაროებისა და ჭაბურღილების სასმელად ვარგისიანობის დასადგენად ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზების ჩატარება და სხვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა და ახალი სანიაღვრე არხების მოწყობა/რეაბილიტაცია, განხორციელდება სოფ. სანიორეში, სოფ. კისისხევში, სოფ. კურდრელაურში, სოფ. ვარდისუბანში ახალი სანიაღვრე არხების მოწყობა, ქ. თელავში რობაქიძის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია და სხვა;

▪ გარე - განათებით უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია 1919,53 ათ. ლარი, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარე - განათების სისტემის მოვლა-ექსპლუატაცია, გახარჯული ელ. ენერგიის ხარჯების ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი გარე - განათებების ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია.

▪ მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებისათვის დაგეგმილია 1126,15 ათ. ლარი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. თელავში ავტობუსების სადგომის და დამხმარე ნაგებობების მშენებლობა, მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების უზრუნველყოფა;

▪ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 1223,0 ათ. ლარი, საიდანაც განხორციელდება საწვავის შეძენა ისეთი მექანიზმებისათვის, როგორიც არის „გრეიდერი“, „ექსკავატორი“, „ბულდოზერი“, „ავტოთვითმცლელი“ და სხვ. რომლებიც შეასრულებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა მცირე კეთილმოწყობის სამუშაოებს. აგრეთვე განხორციელდება ქ. თელავში ყადორის ქუჩაზე არსებული კიბის მოაჯირის და განათების მოწყობა, ქ. თელავში, ისტორიული ჭადრის ხის ფიტოსანიტარული და

სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის ბუღდოზერ-ექსკავატორის შეძენისა და სხვა ღონისძიებები. განხორციელდება აგრეთვე „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა და 2021 წელს განსახორციელებელი სამუშაოების თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურება; პროექტის ფარგლებში იგეგმება ქ. თელავში ისტორიულ ძეგლებზე და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების განთავსება, ქ. თელავის ქუჩების დამისამართება, სტანდარტიზაცია, საინფორმაციო დაფების მოწყობა, ქ. თელავის ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე ბაგა-ბაღის ბაზაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უნივერსალური დიზაინის საბავშვო ბაღის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა, ქ. თელავში ალაზანი -კავკასიონის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგიონული მნიშვნელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ინტეგრირებული აქტივობებისათვის, ქ. თელავში, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედნის და რეკრიაციული სივრცეების მოწყობა, ქ. თელავში, ისტორიული მნიშვნელობის წყაროების რეაბილიტაცია, ქ. თელავში, ჩოხელის და ბახტრიონის ქუჩებს შორის არსებული ხევის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განახლება მრავალფუნქციური რეკრიაციული სივრცეების მოწყობით, ქ. თელავში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელების და საგზაო უსაფრთხოების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვა ღონისძიებები. ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ქალაქ თელავის როგორც ურბანული ცენტრის სოციალური ეკონომიკური როლის გაძლიერება, ურბანული ტერიტორიების განვითარება;

- ფინანსდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით ხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად დაგეგმილია 816,90 ათ. ლარი.

- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია სოფ. ფშაველაში, (თუშეთთან დამაკავშირებელი გზა) კულტურის სახლის ეზოში კემპინგის მოწყობა (ავტო, ველო და ქვეითი ტურისტების გასაჩერებელი ადგილი) შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სხვა ღონისძიებები, რომლის განსახორციელებლადც გამოყოფილია 39,74 ათ. ლარი;

- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფისათვის დაგეგმილია 1382,44 ათ. ლარი. პროგრამის ფარგლებში ყოველდღიურად ხორციელდება ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, შეძენილ იქნა დამატებით 200 ცალი ნაგვის ურნა, დაგეგმილია სპეც. მანქანის შეძენა და სხვა.

- გარემოს დაცვის ღონისძიებების, საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებების, პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების და სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 268,88 ათ. ლარი;

- ადმინისტრაციული შენობების, კულტურის, სპორტის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების, საჯარო სკოლების და დასვენების ობიექტების კეთილმოწყობის, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიზნით გამოყოფილია 3323,45 ათ. ლარი.

- სკოლამდელი აღზრდის, სპორტის და კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულია 9225,32 ათ. ლარი;

- სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად, აგრეთვე საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებულია 367,54 ათ. ლარი.

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებისათვის გამოყოფილია 4612,66 ათ. ლარი.

**რაც შეეხება 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების შესრულებას, ფუნქციონალური კლასიფიკაციის გათვალისწინებით, 9 თვის განმავლობაში:**

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - შესრულდა 2770,90 ათ.ლარით.

თავდაცვის დაფინანსება შესრულდა 90,29 ათ.ლარით.

ეკონომიკურ საქმიანობა შესრულდა 2860,54 ათ.ლარით.

გარემოს დაცვა შესრულდა 1074,96 ათ.ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა შესრულდა 5726,27 ათ.ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა შესრულდა 141,65 ათ.ლარით.

დასვენების, კულტურის და რელიგია შესრულდა 2740,63 ათ.ლარით.

განათლების სფეროს დაფინანსების შესრულებამ შეადგინა 4220,84 ათ.ლარი.

რაც შეეხება სოციალურ დაცვას - საკასო შესრულებამ შეადგინა 1497,05 ათ.ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტების 9 თვის ფაქტიური ხარჯები ფუნქციონალურ კრილში			
ათას ლარებში			
დასახელება	2019 წლის 9 თვე (ფაქტი)	2020 წლის 9 თვე (ფაქტი)	2021 წლის 9 თვე (ფაქტი)
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,766.1	2,724.82	2,770.90
თავდაცვა	81.7	83.26	90.29
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	8.6		
ეკონომიკური საქმიანობა	4,824.9	4,707.68	2,860.54
გარემოს დაცვა	734.2	845.54	1,074.96
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3,085.8	4,366.78	5,726.27
ჯანმრთელობის დაცვა	87.6	314.00	141.65
დასვენება და კულტურა	2,907.7	2,929.04	2,740.63
განათლება	3,795.7	3,203.15	4,220.84
სოციალური დაცვა	1,230.5	1,542.07	1,497.05
<b>სულ ხარჯები</b>	<b>19,522.87</b>	<b>20,716.33</b>	<b>21,123.15</b>

### თავი III. თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

#### საშუალოვადიან პერიოდში

თელავის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2022-2025 წლებში თელავის მუნიციპალიტეტის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თელავის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით თელავის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.



ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა, არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2021 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, შემუშავდა 2022 – 2025 წლების სამუშაო ვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება (სკოლამდელი აღზრდა);
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
	თელავის მუნიციპალიტეტი	27695.50	27,983.20	29,638.00	31,470.50
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6210.80	6,130.90	6,076.80	6,010.80
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5452.50	4,936.10	4,948.10	4,949.10
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1142.70	1,101.70	1,108.70	1,113.70
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4144.80	3,669.40	3,674.40	3,670.40
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური	165.00	165.00	165.00	165.00
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	758.30	1,194.80	1,128.70	1,061.70

კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
01 02 01	სარეზერვო ფონდი	150.00	100.00	100.00	100.00
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	558.30	1,044.80	978.70	911.70
01 02 04	ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი	50.000	50.00	50.00	50.0
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>6934.10</b>	<b>6,302.50</b>	<b>6,805.70</b>	<b>7,400.20</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1278.60	1,285.00	1,753.20	1,942.70
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	690.00	720.00	1,188.20	1,377.70
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	400.00	400.00	400.00	400.00
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	188.60	165.00	165.00	165.00
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1860.00	1,875.00	2,140.00	2,395.00
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	300.00	315.00	580.00	835.00
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	1260.00	1,260.00	1,260.00	1,260.00
02 02 03	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები	300.00	300.00	300.00	300.00
02 03	გარე განათება	1500.00	1,550.00	1,650.00	1,800.00
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1250.00	1,250.00	1,300.00	1,400.00
02 03 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობა	250.00	300.00	350.00	400.00
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	600.00	600.00	600.00	600.00
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	600.00	600.00	600.00	600.00
02 05	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	510.00	250.00	250.00	250.00
02 05 01	სახურავების, სადარბაზოების და სხვა რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები	510.00	250.00	250.00	250.00
02 06	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	710.00	85.00	85.00	85.00
02 06 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები	80.00	80.00	80.00	80.0
02 06 02	სასმელი წყლის „სოკო“	5.00	5.00	5.00	5.00



კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 06 03	სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები	625.00	0.00	0.00	0.00
02 07	სარიტუალო ღონისძიებები	70.00	70.00	70.00	70.00
02 07 01	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	70.00	70.00	70.00	70.00
02 08	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები	18.50	18.50	18.50	18.50
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები	239.00	239.00	239.00	239.00
02 11	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	148.00	330.00	0.00	0.00
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>1160.80</b>	<b>1,115.00</b>	<b>1,682.20</b>	<b>2,095.00</b>
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	1000.00	1,000.00	1,340.00	1,340.00
03 02	გარემოს დაცვის ღონისძიებები	60.80	15.00	242.20	655.00
03 03	პარკების, სკვერებისა და სხვა გაშვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	100.00	100.00	100.00	100.00
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>5928.60</b>	<b>6,370.50</b>	<b>6,700.20</b>	<b>6,860.20</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5758.10	6,031.50	6,330.20	6,340.20
04 02	სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	57.20	219.00	250.00	400.00
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	113.30	120.00	120.00	120.00
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>4865.00</b>	<b>5,325.90</b>	<b>5,614.60</b>	<b>6,325.80</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2200.60	2,369.00	2,366.00	2,703.70
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	280.00	450.00	450.00	770.00
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1791.10	1,780.20	1,777.20	1,782.20
05 01 03	სპორტული ღონისძიებები	129.50	138.80	138.80	151.50
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2195.00	2,487.20	2,693.60	2,858.60
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2097.40	2,388.20	2,444.60	2,449.60
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.00	0.00	150.00	300.00
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	97.60	99.00	99.00	109.00
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	132.50	124.70	125.00	128.50
05 03 01	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	82.50	74.70	75.00	78.50

კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 03 02	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	50.00	50.00	50.00	50.00
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.00	40.00	40.00	40.00
05 05	ძველთა დაცვის ღონისძიებები	196.90	185.00	190.00	245.00
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	100.00	120.00	200.00	350.00
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>2596.20</b>	<b>2,738.40</b>	<b>2,758.50</b>	<b>2,778.50</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	140.00	140.00	140.00	140.00
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	140.00	140.00	140.00	140.00
06 02	სოციალური დაცვა	2456.20	2,598.40	2,618.50	2,638.50
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	36.00	36.00	36.00	36.00
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	357.80	357.80	357.80	357.80
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	7.80	7.80	7.80	7.80
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	350.00	350.00	350.00	350.00
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	703.00	859.50	859.60	859.60
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00	10.00	10.00	10.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	219.30	216.30	216.30	216.30
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	4.00	4.00	4.00	4.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	129.00	129.00	129.00	129.00
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	120.00	90.00	90.00	90.00
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	40.00	40.00	40.00	40.00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	754.00	774.00	794.00	814.00
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	70.00	70.00	70.00	70.00
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	1.80	1.80	1.80	1.80
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვრის თანადაფინანსება	11.30	10.00	10.00	10.00

## ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6934.10	6,302.50	6,805.70	7,400.20
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1278.60	1,285.00	1,753.20	1,942.70
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	690.00	720.00	1,188.20	1,377.70
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	400.00	400.00	400.00	400.00
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	188.60	165.00	165.00	165.00
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1860.00	1,875.00	2,140.00	2,395.00
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	300.00	315.00	580.00	835.00
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	1260.00	1,260.00	1,260.00	1,260.00
02 02 03	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები	300.00	300.00	300.00	300.00
02 03	გარე განათება	1500.00	1,550.00	1,650.00	1,800.00
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1250.00	1,250.00	1,300.00	1,400.00
02 03 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობა	250.00	300.00	350.00	400.00
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	600.00	600.00	600.00	600.00
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები	0.00	0.00	0.00	0.00
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	600.00	600.00	600.00	600.00
02 05	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	510.00	250.00	250.00	250.00

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 05 01	სახურავების, სადარბაზოების და სხვა რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები	510.00	250.00	250.00	250.00
02 06	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	710.00	85.00	85.00	85.00
02 06 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები	80.00	80.00	80.00	80.0
02 06 02	სასმელი წყლის „სოკო“	5.00	5.00	5.00	5.00
02 06 03	სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები	625.00	0.00	0.00	0.00
02 07	სარიტუალო ღონისძიებები	70.00	70.00	70.00	70.00
02 07 01	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	70.00	70.00	70.00	70.00
02 08	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები	18.50	18.50	18.50	18.50
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები	239.00	239.00	239.00	239.00
02 11	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	148.00	330.00	0.00	0.00

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2022 წლის დაფინანსე ბა ათას ლარში	2023 წლის დაფინანსე ბა ათას ლარში	2024 წლის დაფინანსე ბა ათას ლარში	2025 წლის დაფინანსე ბა ათას ლარში
02 01			1278.60	1,285.00	1,753.20	1,942.70
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების და სოფლის გზების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოებს, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ყოველწლიურად. მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული და ეკრანული შეკეთება), რომელიც განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მოითხოვს აუცილებელ რეაბილიტაციას; საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხო				

	გადაადგილების მიზნით, საჭიროა არსებული გადასასვლელების და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, ახალი ნიშნების დამატება, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა და სხვა.
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	პროგრამის საბოლოო მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური გზების (მათ შორის ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების კაპიტალური შეკეთება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 01			690,00	720,00	1 188,20	1 377,70
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია გზის სრული რეაბილიტაცია დაახლოებით (სარეაბილიტაციო სივრცე 2022 წლისთვის 85890,00 კვ.მ). 2022 წელს დაგეგმილია ქ.თელავში, ბარნოვის ქუჩის რეაბილიტაცია, ქ.თელავში თბილისის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობა, თელავის მუნიციპალიტეტის ქ. თელავში ყვარლის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ნასამხრალში (მეღვინეობა მოსმიერის მიმართულებით) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. თელავში ლეონიძის ქ. რეაბილიტაცია, სოფ. ართანის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, სოფ. გულგულის შიდა საუბნო გზა, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში (ლამიანის უბანში) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ კურდღელაურში გზის (N2 გზა) სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ ლაფანყურში თანდილაშვილების უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. თელავში, იყალთოს ქუჩაზე და კვირიკე პატარის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობა და სხვა. გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2022 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. განხორციელდება აგრეთვე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა და სხვა.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური გზების (მათ შორის ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გზებისმოწყობა; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ქვეპროგრამის შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება;				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების მიმდინარე შეკეთება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 02			400,0	400,0	400,0	400,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაციის პარალელურად საგზაო ინფრასტრუქტურის რეგულარული და სისტემატიური მოვლა-პატრონობის ღონისძიებების გატარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მუნიციპალური მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად. საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისათვის, ვარგის მდგომარეობაში შესანარჩუნებლად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოები თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ყოველწლიურად, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული და ეკრანული შეკეთება), რომელიც განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მოითხოვს შეკეთებას, პროექტის მიზანია არსებული გზების ექსპლუატაციის ვადის გაზრდა, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობების შექმნა.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი, მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება;				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 03			188,60	165,0	165,0	165,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეითად მოსიარულეთა და საგზაო ტრანსპორტის მოწესრიგებული მოძრაობისათვის და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია მოხდეს სხვადასხვა სახის საგზაო ნიშნების, შუქნიშნებისა და ქვეითთა გადასასვლელების მოწესრიგება. ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მოვლა-პატრონობა, საჭიროების შესაბამისად მოხდება სხვადასხვა ლოკაციებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება, საგზაო მონიშვნების დახაზვა, სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერების მოწყობა. უსაფრთხოების მიზნით თოვლიანი ამინდის შემთხვევაში ხორციელდება საავტომობილო გზების თოვლისგან გაწმენდა და სხვა.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის მიზანი: საგზაო მოძრაობის მოწესრიგება. უსაფრთხო გარემოს შექმნა. შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;				



კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02			1860,00	1 875,00	2 140,00	2 395,00
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფლებში არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციის, არსებული სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის, ჭაბურღილების გამართული და შეუფერხებელ ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები. გარდა ამისა, წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით და გამოთავისუფლებული თანხებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც.				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მიზანია: - სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 01			300,0	315,0	580,0	835,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამის განხორციელებისას, სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება სოფ. ვარდისუბნის და სოფ. რუისპირის სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია, რომელიც ამჟამად ისეთ მდგომარეობაშია რომ ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს და ამორტიზებულია. პროგრამის ფარგლებში მოხდება მათი შეცვლა ახალი პლასტმასის მილებით. მოეწყობა ახალი სათავე ნაგებობები და მაგისტრალური წყალსადენი. განხორციელდება სასმელი წყლის ჭაბურღილების რეაბილიტაცია (მ.შ. დაზიანებული ტუმბოების ამოცვლა), გამართულად იმუშავებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 92 ჭაბურღილი. წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება ქვეპროგრამის ფარგლებში სხვა ღონისძიებების განხორციელება;				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის შედეგები: სასმელი წყლის ქსელების გამართული ფუნქციონირება				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 02			1260,00	1 260,00	1 260,00	1 260,00
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამით განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების დაზიანების შემთხვევაში წერტილოვანი შეკეთება, დაფინანსდება ჰაბურდილების მიერ მოხმარებული ელ. ენერგიის ანაზღაურება. განხორციელდება ბუნებრივი წყაროებისა და ჰაბურდილების სასმელად კარგისიანობის დასადგენად ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზების ჩატარება და სხვა.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. ქვეპროგრამის შედეგი: სასმელი წყლის ქსელების გამართული ფუნქციონირება				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 03			300,0	300,0	300,0	300,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		პროექტის განხორციელებისას მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მოხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა და სანიაღვრე არხების მოწყობა/რეაბილიტაცია, 2022 წელს განხორციელდება ქ. თელავში ბათუმის ქუჩაზე მიმდებარედ, სოფ. კურდღელაურში და სოფ. კონდოლში სანიაღვრე არხების მოწყობა, წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება ქვეპროგრამის ფარგლებში სხვა ღონისძიებების განხორციელება;				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია: თავიდან იქნეს აცილებული ქუჩების, ეზოების, სავარგულების დატბორვა და ასფალტის საფარის დაზიანება. ქვეპროგრამის შედეგი: გაუმჯობესდება თელავის მუნიციპალიტეტში არსებული ნიაღვარგამტარი არხების მდგომარეობა.				

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03			1500,0	1 550,00	1 650,00	1 800,00
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				

<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული წერტილების რაოდენობა შეადგენს 8040 ცალს. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: გარე განათების დაზიანებულ მონაკვეთების შეკეთება, სადენების აღდგენა, მწყობრიდან გამოსული სანათების შეცვლა, ექსპლუატაცია გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 450 კმ სიგრძის გზის გარე განათების ქსელს, გარე - განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერგიის ხარჯის ანაზღაურება. იმ მონაკვეთებში, სადაც არ არსებობს გარე - განათება მოეწყობა ახალი გარე განათების ქსელი და აგრეთვე მოხდება არსებულის რეაბილიტაცია/აღდგენა და ახალი კვანძების მოწყობა.
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მიზანი: გარე განათების ქსელის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა შედეგი: ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების სისტემის ექსპლუატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 01			1250,0	1250,0	1300,0	1400,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება: გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერგიის ხარჯის ანაზღაურება, გარე განათების დაზიანებულ მონაკვეთების შეკეთება, სადენების აღდგენა, მწყობრიდან გამოსული სანათების შეცვლა და სხვა. ექსპლუატაცია გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაახლოებით 490 კმ სიგრძის გზის გარე განათების ქსელს.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მიზანი: გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების ოპერატიულად აღმოფხვრა. შედეგი: ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია/მოწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 02			250,00	300,00	350,00	400,00
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამის განხორციელებისას იმ უბნებში სადაც არ არსებობს გარე განათება მოეწყობა ახალი გარე განათების ქსელი, მოხდება არსებულის აღდგენა/რეაბილიტაცია. გარე განათების ქსელზე აღრიცხვის ახალი კვანძების მოწყობა.				

<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათებით მაქსიმალურად უზრუნველყოფა. შედეგი: ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება
--	--

კოდი	პროგრამის დასახელება	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			600,0	600,0	600,0	600,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ თელავის სატრანსპორტო სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აგრეთვე მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების დაფინანსება სუბსიდიის სახით, რომლითაც განხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურება.				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მიზანი: მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგი: მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლეთათვის კომფორტული გადაადგილება				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01 02			600,0	600,0	600,0	600,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ თელავის სატრანსპორტო სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		მუნიციპალური ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების დაფინანსება სუბსიდიის სახით, რომლითაც განხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურება და სხვა.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მიზანი: მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგი: მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლეთათვის კომფორტული გადაადგილება				

კოდი	პროგრამის დასახელება	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 05			510,00	250,00	250,00	250,00
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				

<b>პროგრამის აღწერა</b>	მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები და სხვა.
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მიზანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; შედეგი: გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სახურავების, სადარბაზოების და სხვა რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 05 01			510,00	250,00	250,00	250,00
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები და სხვა.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მიზანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; შედეგი: გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები				

კოდი	პროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 06			710,00	85,00	85,00	85,00
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის ფარგლებში მოხდება ქ. თელავში ისტორიული ჭადრის ხის ფიტო სანიტარული დამუშავება. შეძენილი იქნება საწვავი ისეთი მექანიზმებისათვის როგორც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმცლელი და სხვა, რომლებიც შეასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში, აგრეთვე სრიგპ-ის ფაგლებში განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება, საჭიროების შემთხვევაში საპროექტო				



	სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა. აგრეთვე განხორციელდება ქ. თელავში არსებული სასმელი წყლის „სოკოების“ მოვლა პატრონობის ღონისძიებები
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მიზანი: წარმოშობილი პრობლემების დროულად აღმოფხვრა, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა, ქალაქ თელავის როგორც ურბანული ცენტრის სოციალური ეკონომიკური როლის გაძლიერება, ურბანული ტერიტორიების განვითარება. შედეგი: კეთილმოწყობილი გარემო, ქ. თელავის ტურისტული პოტენციალის ზრდა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 06 01			80.0	80.0	80.0	80.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: საწვავის შეძენა ისეთი მექანიზმებისათვის, როგორც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმცლელი და სხვ, რომლებიც შეასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში. ქ. თელავში ისტორიული ჭადრის ხის ფიტოსანიტარული და სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება და სხვა ღონისძიებები.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ისტორიული ჭადრის ხის სიცოცხლის გახანგრძლივება, მუნიციპალიტეტის სოფლებში წარმოქმნილი გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევების დროული აღმოფხვრა.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის „სოკო“	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 06 02			5,00	5,00	5,00	5,00
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის სოკოების მოვლა-პატრონობა, მათ შორის მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურება.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		გატარებული ღონისძიებების და შესრულებული სამუშაოს შედეგად ქ. თელავში გამართულად იფუნქციონერებს სასმელი წყლის სოკოები				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სრიგ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 06 03			625,0			
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებები. პროექტის ფარგლებში იგეგმება ქ. თელავის ქუჩების დამისამართება, სტანდარტიზაცია, საინფორმაციო დაფების მოწყობა, ქ. თელავის ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე ბაგა-ბაღის ბაზაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უნივერსალური დიზაინის საბავშვო ბაღის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა, საქალაქთაშორისო დანიშნულების ავტოსადგურის და პარკინგის მოწყობა, ცენტრალური თელავის ისტორიული დასახლების ურბანული განახლება, ერეკლე მეორის სკვერის და საზარბაზნე ბურჯის რეაბილიტაცია, მეფის სასახლის და ციხე გალავნის კომპლექსის რეაბილიტაცია, ქ. თელავის შემოსასვლელებში ისტორიული სატახტო ქალაქისათვის დამახასიათებელი ინსტალაციების მოწყობა, ქ. თელავში ალაზანი - კავკასიონის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგიონული მნიშვნელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ინტეგრირებული აქტივობებისათვის, ქ. თელავში, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედნის და რეკრიაციული სივრცეების მოწყობა, მისასვლელი გზის და პარკინგის მოწყობით, „მინიატურების პარკის“ მოწყობა, პარკი „ნადიკვარის“ ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, ჩოგბურთის კორტების მოდერნიზაცია, ქ. თელავში, ისტორიული მნიშვნელობის წყაროების რეაბილიტაცია, ქ. თელავში „მშვიდობის პარკის“ მოწყობა, ქ. თელავში, ჩოხელის და ბახტრიონის ქუჩებს შორის არსებული ხევის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განახლება მრავალფუნქციური რეკრიაციული სივრცეების მოწყობით, ქ. თელავში ურბანულ ტერიტორიებზე საზოგადოებრივი დანიშნულების სველი წერტილების მოწყობა, ქ. თელავში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის და საგზაო უსაფრთხოების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვა.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ქალაქ თელავის როგორც ურბანული ცენტრის სოციალური ეკონომიკური როლის გაძლიერება, ურბანული ტერიტორიების განვითარება. შედეგი: კეთილმოწყობილი გარემო, ქ. თელავის ტურისტული პოტენციალის ზრდა.				

კოდი	პროგრამის დასახელება	სარიტუალო ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 07			70,0	70,0	70,0	70,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				

<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის განხორციელებისას დასუფთავდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოები. გატანილი იქნება სასაფლაოების ტერიტორიიდან სხვადასხვა სახის ნაგავი და ხის ტოტები.
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მოწესრიგებული სასაფლაოები.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 07 01			70,0	70,0	70,0	70,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		პროგრამის განხორციელებისას დასუფთავდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოები. გატანილი იქნება სასაფლაოების ტერიტორიიდან სხვადასხვა სახის ნაგავი და ხის ტოტები.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მოწესრიგებული სასაფლაოები.				

კოდი	პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 08			18,5	18,5	18,5	18,5
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის განხორციელებისას მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		საზოგადოებრივი საპირფარეშოების ფუნქციონირება				

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	----------------------	---	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------

02 09			239,0	239,0	239,0	239,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური					
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს დასახლებაში დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებების დაფინანსებას.					
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე, პრიორიტეტების გათვალისწინებით ღონისძიებების განხორციელება.					

კოდი	პროგრამის დასახელება	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 11			148,0	333,0		
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური					
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში მოხდება სოფ. ართანაში მდინარე „დიდხევში“ ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა და დამცავი კედლების მშენებლობა და სხვა.					
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მიზანი: მდინარის კალაპოტების მიმდებარე ტერიტორიების დაცვა წყალმოვარდნებისგან. შედეგი: მდინარის კალაპოტების მიმდებარე ტერიტორიები იქნება დაცული.					

### დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები.

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1160.80	1,115.00	1,682.20	2,095.00
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	1000.00	1,000.00	1,340.00	1,340.00
03 02	გარემოს დაცვის ღონისძიებები	60.80	15.00	242.20	655.00
03 03	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	100.00	100.00	100.00	100.00

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 01			1000.00	1,000.00	1340,0	1340,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		მუნიციპალიტეტში კომფორტული გარემოს შექმნისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიაზე სანიტარულ სისუფთავეს. პროგრამის განხორციელებისას მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ყოველდღიურად დაიგვება და დასუფთავდება ქალაქ თელავის ქუჩები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 970 მ/კუბ ნარჩენი, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დაახლოებით 350000 მ <sup>2</sup> ქუჩების და ტროტუარების დაგვა-დასუფთავება. გატანილი იქნება დაახლოებით 122100 მ <sup>3</sup> ნაგავი.				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მიზანი: სუფთა გარემოს უზრუნველყოფა შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა.				

კოდი	პროგრამის დასახელება	გარემოს დაცვის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 02			60,80	15,0	242,2	655,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჭიროების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის; განხორციელდება ხეების გაწმენდითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები.				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მიზანი: გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირება, უსაფრთხო გარემოს შექმნა. შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორია განთავისუფლდება საფრთხის შემცველი ხეებისაგან ხეების მიმდებარე ტერიტორია დაცულია წყალმოვარდნებისაგან.				

კოდი	პროგრამის დასახელება	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 03			100.0	100.0	100.0	100.0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				



<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამა ითვალისწინებს დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებელი ზონების მოვლა-პატრონობას. ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მწვანე საფარი. სეზონური მცენარეებით დეკორატიულად გაფორმდება სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, მწვანე ნარგავების მორწყვა, სეზონურად მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა და სხვა); მოვლა-პატრონობა გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში.
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მიზანი: მოვლილი მწვანე ნარგავები და განახლებული მწვანე საფარი, ესთეტიური გარემოს შენარჩუნება -განვითარება შედეგი: მთელი წლის განმავლობაში მოწესრიგებული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერები, გამწვანებული ტერიტორიები.

## განათლება

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას. განხორციელდება მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლუატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	5928.60	6,370.50	6,700.20	6,860.20
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5758.10	6,031.50	6,330.20	6,340.20
04 02	სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	57.20	219.00	250.00	400.00
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	113.30	120.00	120.00	120.00

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			5758.10	6,031.50	6,330.20	6,340.20
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო				

<b>პროგრამის აღწერა</b>	<p>თელავის მუნიციპალიტეტში 32 ბაგა-ბაღია. ბაღებში 116 ასაკობრივი ჯგუფია; დასაქმებულია 698 პირი. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომობა მაქსიმალურად უზრუნველყოფილია. სრულად რეაბილიტირებულია 6 ბაგა-ბაღი, ნაწილობრივ რეაბილიტირებულია 13 ბაგა-ბაღი. ბაღებში ძირითადი გამოწვევებია ბავშვთა რაოდენობა ჯგუფებში, ჯგუფში პერსონალის შესაბამისობა ბავშვების რაოდენობასთან (13:1/15:1), დასაქმებული კადრის კვალიფიკაცია, ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არსებული ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის, ასევე გადამზადების პროგრამების დაფინანსებით, აღნიშნული გამოწვევები ექვემდებარება დამლევას. თელავის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ხელმისაწვდომია სკოლამდელი განათლების დაწესებულება, ხოლო ლეჩუმიდან ხორციელდება აღსაზრდელთა ტრანსპორტირების დაფინანსება. 32 ბაღისთვის უნიფიცირებულია კვების სტანდარტის შესაბამისი მენიუ და ის სრულად შეესაბამება N 487 დადგენილებას. სასწავლო პროცესები დაქვემდებარებულია სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მაქსიმალურად ხდება სასკოლო მზაობის უზრუნველყოფა. გამოშვებული აღსაზრდელების 70% სრულად აკმაყოფილებს სასკოლო მზაობის პროგრამას. ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან (კარიტასი ჩეხეთი, სსიდა, ილიას უნივერსიტეტთან არსებულ ბავშვთა განვითარების ცენტრთან, მაკლინის ასოციაციასთან, პორტიჯის ასოციაციასთან და სხვა).</p>
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	<p>პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით.</p> <p>შედეგი: სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა.</p>

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 02			57,20	219,00	250,00	400,00
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღების უმეტესობა არის აშენებული საკმაოდ დიდი ხნის წინ, საბავშვო ბაღების შენობების ნაწილი არის ამორტიზირებული და საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. განხორციელდება ქ. თელავში N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. სოფ. ქვ. ხოდაშენის და სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღების სრული რეაბილიტაცია და სხვა.				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		<p>მიზანი: აღზრდისა და განათლების დაწესებულებების არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად, ბავშვებს შეეძენებათ უსაფრთხო გარემო, შეიქმნება მომავალი თაობისათვის გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის სათანადო პირობები.</p>				

კოდი	პროგრამის დასახელება	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში

04 03 01			113,30	120,0	120,	120,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		ააიპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი				
<b>პროგრამის აღწერა</b>		მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებში გაერთიანებული მოსწალები იმდღებზე განათლების დონეს. მეცადინეობები მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილს. ეს მათ ეხმარებათ პროფესიულ ორიენტაციაში. მასობრივ კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსწავლე ახალგაზრდები იმდღებზე კულტურულ დონეს, ამავე დროს უყალიბდებათ ჯანსაღი ცხოვრების წესი -თავისუფალი დროის სწორედ გამოყენება. ფუნქციონირებს მათემატიკის, ინგლისურის, ქართული ლიტერატურის, ხატვის, დიზაინის, თექის, კულინარიის, ხაზვის, ჭადრაკის, სიმღერის, ფანდურის, ცეკვის, თეატრალურის, რუსული ენის, ფოტოხელოვნების წრეები და კერამიკის შემსწავლელი კურსები. მოსწავლე ახალგაზრდები მონაწილეობას იღებენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის , მუნიციპალიტეტის ღონისძიებებში, ფესტივალებში. პროგრამა ითვალისწინებს მასტერკლასებს, სასწავლო შემეცნებითი მიზნით ექსკურსიებსა და ლექციებს სხვადასხვა თემებზე, ხელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდებს შორის შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლება-განვითარებას. თეატრალური კულტურისა და დისციპლინის პროპაგანდას. წრეობრივი მუშაობა გათვლილია მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესებზე. წრეობრივი მუშაობა მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც მათ ეხმარებათ პროფესიულ ორიენტაციაში.				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		უზრუნველყოფილია მოსწავლეთა განათლების დონის ამაღლება და შემეცნებითი თვალსაწიერის გაფართოება. აგრეთვე გაზრდილია ჩართული მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობა.				

## კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4865.00	5,325.90	5,614.60	6,325.80
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2200.60	2,369.00	2,366.00	2,703.70
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	280.00	450.00	450.00	770.00
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1791.10	1,780.20	1,777.20	1,782.20
05 01 03	სპორტული ღონისძიებები	129.50	138.80	138.80	151.50
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2195.00	2,487.20	2,693.60	2,858.60

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2097.40	2,388.20	2,444.60	2,449.60
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.00	0.00	150.00	300.00
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	97.60	99.00	99.00	109.00
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	132.50	124.70	125.00	128.50
05 03 01	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	82.50	74.70	75.00	78.50
05 03 02	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	50.00	50.00	50.00	50.00
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.00	40.00	40.00	40.00
05 05	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	196.90	185.00	190.00	245.00
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	100.00	120.00	200.00	350.00

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01			2200.60	2,369.00	2,366.00	2,703.70
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი				
<b>პროგრამის აღწერა</b>		სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებებისა განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება.				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მიზანი: სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა შედეგი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია				

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01			280,00	450,00	450,00	770,00
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის ფარგლებში იგეგმება ქ. თელავში ბათუმის ქუჩის მიმდებარედ ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობა, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქ. თელავში ალაზნის გამზირზე და კავკასიონის ქუჩაზე მდებარე მინი მოედნებს და სხვა.				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			1791.10	1,780.20	1,777.20	1,782.20
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებებისა განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი,				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მიზანი: სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებში და ტურნირებში მონაწილეობა შედეგი: სპორტის სახეობებში ჩართული ბავშვთა და მოზარდთა გაზრდილი რაოდენობა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02 01			190.20	185.20	185.20	190.20



<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ჩოგბურთის სპორტული ჯგუფების რაოდენობის გაზრდა, ადგილობრივი, ქვეყნის და საერთაშორისო ტურნირების ორგანიზება და მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისთვის, სხვადასხვა რანგის ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, შშმ პირთა სპორტში ჩართულობა და ინტეგრირება, სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთა სექციების ორგანიზება სპორტული (ჩოგბურთის) ორიენტაციის განვითარების ხელშეწყობისთვის. წარმატებული სპორტსმენების აღჭურვა შესაბამისი სპორტული ინვენტარით და მათი წახალისება, მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების მომზადება,
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	ხელსაყრელი პირობების შექმნა ჩოგბურთში რეგულარული ჩართულობისათვის; ჩოგბურთში ჩართულობის ამაღლება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02 02			304,6	335.0	335.0	335.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ბავშვთა ჩართულობა სპორტში, შესაბამისი სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირება.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბთა გაერთიანება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02 03			880,30	840,0	837,0	837,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბთა გაერთიანება				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		სპორტულ კლუბთა გაერთიანება ახორციელებს წლიური საწვრთნელი პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სექციები, სადაც წლის განმავლობაში ჩართულია დაახლოებით 570 -600 მოზარდი: რაგბი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, კალათბურთი, ხელბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ბილიარდი, სპორტული ტირი. სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში ჩართული მოზარდები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტურნირებსა და შეჯიბრებებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ. ხდება სპორტის სახეობების მიხედვით პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის				

	კანდიდატობისათვის, მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში.
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02 04			416,0	420,0	420,0	420,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ჭიდაობის სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სახეობები: მკლავჭიდი, კრივი, კარატე, ძიუდო. სკოლის მიზანია გუნდების ჩამოყალიბება, შესაბამისი სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში. მასობრივი და სამოყვარულო ღონისძიებების ორგანიზება				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები, სპორტის სახეობების მიხედვით შემცირებული სპორტული უნარ-ჩვევების რეალიზება				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03 01			129,5	138,8	138,8	151,5
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		სპორტის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს სპორტული ღონისძიებების ჩატარებას სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სპორტული და ახალგაზრდული აქტივობების მხარდაჭერას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სასკოლო - სპორტული ოლიმპიადა - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობას. თამაშები ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორც ვაჟებში ისე, გოგონებში; განხორციელდება გუნდების რეგისტრაცია, რის შემდეგაც შეიქმნება კონკრეტული სახეობების კალენდარი და სამოქმედო გეგმა. გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონულ სასკოლო ოლიმპიადაში. ღონისძიების მიზანია ბავშვების აქტიური ჩართულობა სპორტულ აქტივობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. შესაბამისი სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სასკოლო სპორტის გააქტიურება. სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები - სამოქალაქო და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერით და მათი დაინტერესებით, რათა აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპორტულ ღონისძიებებში. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე, ქ. თელავში ჩოგბურთის				

	საერთაშორისო ტურნირის ჩატარების თანადაფინანსება, კახეთის რეგიონში ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსება, თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწრთველების წახალისება ფულადი ჯილდოებით და სხვა.
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მიზანი: სასკოლო სპორტის განვითარება. სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. შედეგი: მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02			2195.00	2,487.20	2,693.60	2,858.60
	<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა				
	<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.				
	<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მიზანი: კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. შედეგი: ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01			2097.40	2,388.20	2,444.60	2,449.60
	<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა				
	<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ფუნქციონირებს კულტურული ორგანიზაციები რომლებიც ახორციელებენ კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას და სხვა				
	<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მიზანი: კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. შედეგი: ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 01			120.0	141,0	141,0	141,0
	<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი				
	<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტიუმების განახლება, მოცეკვავეთა გადამზადების პროგრამის შექმნა და გაუმჯობესება თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. ანსამბლის ბაზაზე არსებული სკოლა-სტუდია, სადაც 6 წლიდან ბავშვები შეისწავლიან				

	ქორეოგრაფიულ საწყისებს, სამომავლოდ მათი ჩამოყალიბება პროფესიონალ შემსრულებლად.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქართული საცეკვაო ხელოვნების პროპაგანდა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 02			130,0	151,0	151,0	151,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1სამუსიკო სკოლა				
ქვეპროგრამის აღწერა		თელავის #1სამუსიკო სკოლაში სწავლობს 130 მოსწავლე შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, საგუნდო, სიმებიანი (გიტარა, ვიოლინო) სოლო სიმღერა, კლასიკური ვოკალი (ესტრადა), ფოლკლორი. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში, ხდებიან ლაურეატები, ჯილდოვდებიან სიგელებით.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; მონაწილეობის მიღება კულტურული ღონისძიებებში ფესტივალებში, კონკურსებში.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 03			120,0	142,0	142,0	142,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა				
ქვეპროგრამის აღწერა		<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ზოგადი მუსიკალური განათლების მიცემა - ხელოვნების კონკრეტული სახეობების(ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, ხალხური საკრავები, სიმღერა, ფოლკლორი) დაუფლებაზე ორიენტირებული მომზადება .</li> <li>▪ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ -კონკურსებში მონაწილეობით და სხვა აქტივობებით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა. <ul style="list-style-type: none"> <li>▪ წარმატებული მოსწავლეების წახალისება და ხელშეწყობა</li> <li>▪ ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.</li> </ul> </li> </ul> სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 140 მოსწავლე				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა				



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 04			95,30	113.0	113.0	113.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		სკოლაში ამჟამად სწავლობს 102 მოსწავლე. ისწავლება შემდეგ საგნებს: ხატვა,ფერწერა,კომპოზიცია,ძერწვა,ხელოვნების ისტორია,ანიმაცია. ხორციელდება სხვადასხვა სახის დასახელებით საგნების მოძიება-შეგროვება. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა,ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა. მოსწავლეთა სწავლების ხარისხი მაღალია. მოსწავლეები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას როგორც ადგილობრივ ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებზე და ფესტივალებში დიდი წარმატებით. სკოლაში ხორციელდება აგრეთვე ანიმაციის საფუძვლების შესწავლა, მარტივი კლიპების და ფილმების შექმნა. ხდება მოსწავლეებისა და მათი ნამუშევრების გაგზავნა სხვადასხვა გამოფენებზე,კონკურსებზე და ფესტივალებზე ( ბათუმის ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, თბილისის „ოქროს პეპელა“ და სხვები). ჩატარდება მოწვეული გამოჩენილი მხატვრების მასტრეკლასები.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სახვითი ხელოვნების საფუძვლების შესწავლა. ანიმაციის სწავლების განვითარება - ხელშეწყობა. მოსწავლეთა და მათი ნამუშევრების გაგზავნა სხვადასხვა გამოფენებზე, კონკურსებსა და ფესტივალებზე.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 05			292.0	347,20	352,20	357,20
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		<p>საბიბლიოთეკო გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა–დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;</li> <li>• საცნობარო–ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;</li> <li>• საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ–გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ–გაზეთების სტატიების კართოთეკების შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;</li> <li>• მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერენეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;</li> <li>• საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.</li> </ul> <p>ყოველწლიურად ხორციელდება წიგნადი ფონდის განახლება. ბიბლიოთეკებში დარეგისტრირებულია 19580 მკითხველი, ყოველწლიურად გაიცემა დაახლოებით 315500 საბიბლიოთეკო ერთეული.</p>				

	მიზანი: მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება.
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა, ჩატარებულია მკითხველთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე გათვლილი ღონისძიებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 06			1008.20	1,121.60	1,173.00	1,173.00
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში თელავის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ – ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, ხალხური ხელოვნების მოვლა, დაცვა და განვითარება. შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტუმების განახლება. თელავის მუნიციპალიტეტში მოქმედი ხალხური შემოქმედების, მხატვრული თვითშემოქმედების, ფოლკლორული ჯგუფების შემოქმედებითი გაერთიანების, თვითნასწავლი მხატვრების, რეჟისორების და სახალხო მოქმედების ხელშეწყობა და კვალიფიკაციური კონსულტაციების გაწევა. ხალხური შემოქმედების პოპულარიზაცია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება, გასტროლი და სხვა მოტივაცია); სახელოვნებო დარგის სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.)</p> <p>მუნიციპალური ანსამბლების პოპულარიზაციის და განვითარების მიზნით გასტროლები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, ქართული კულტურის პოპულარიზაცია და თელავის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში.</p>				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 08			70,0	80,0	80,0	80,0

<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება "ნადიკვარი" ადგილობრივ მოსახლეობას და უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ დამსვენებელს სთავაზობს კომფორტულ გარემოს. ბავშვების გართობას შესაფერისი დონის ატრაქციონებით, ხორციელდება აგრეთვე სკვერის სეზონური დეკორატიული ყვავილების გაშენება განახლება. მარადმწვანე ბუჩქების და ხემცენარეების მოვლა პატრონობა. მიზანი: დამსვენებლებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება „ნადიკვარი“ ფუნქციონირებს შეუფერხებლად, დამსვენებლებისათვის შექმნილია კომფორტული გარემო

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 09			67,50	80,0	80,0	80,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		სამუსიკო სკოლა საქმიანობს შესაბამისი ადმინისტრაციით და 11 პედაგოგის მეშვეობით 83 მოსწავლისათვის. ბოლო წლების განმავლობაში ყოველწლიურად იზრდება მოსწავლეთა კონტინგენტი, სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორგანო (ფლეიტა) და ხალხური საკრავების (ფანდური) განყოფილებები. სკოლა ფუნქციონირებს მოზარდი ახალგაზრდობის კულტურული განვითარებისათვის, სადაც ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 10			133.00	140.00	140.00	140.00
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		წინანდლის სამუსიკო სკოლა ემსახურება სოფ. ვანთის, ბუშეტის, ქვემო ხოდაშნის და წინანდლის მოსწავლეებს. სწავლა მიმდინარეობს სხვადასხვა სპეციალობებზე: საფორტეპიანო, ვიოლინო, საგუნდო, ვოკალი და სოლო სიმღერა, ხალხური საკრავები (ფანდური), გალობა. სკოლაში არსებობს კლასიკური გუნდი სადაც -23 მოსწავლეა, ხალხურ საკრავთა გუნდი - 14 მოსწავლე, ფოლკლორული გუნდი -16 მოსწავლე და მგალობელთა ტრიო.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და</b>		სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა				

მოსალოდნელი შედეგი	
--------------------	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 11			61.40	72.00	72.00	72.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა				
ქვეპროგრამის აღწერა		სკოლაში ხორციელდება შემდეგი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები: საფორტეპიანო, საორგანო, საესტრადო, ხალხური ტრადიციური მუსიკა, ხალხური საკრავები, ხელოვნების (ხატვა, ფერწერა, ხელოვნების ისტორია) განყოფილებები. სკოლის სრული კონტიგენტია 120 მოსწავლე. სკოლის მიზანია ხელი შეუწყოს მომავალი თაობის მუსიკალურ განვითარებას მათ შორის ახალ ინიციატივებს რომლის მეშვეობითაც გაიზრდება მოსწავლეების ინტერესი და ჩართულობა.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 03			97.6	99.0	99.0	109.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა მოიცავს მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა კულტურული ინიციატივების ხელშეწყობას (გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები და სხვა). განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კულტურის სფეროში გამოჩენილი ადამიანების შემოქმედების პოპულარიზაცია - ხელშეწყობა. თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის წარჩინებული ისტორიული მეცნიერებებით დაინტერესებული მოსწავლეების გონიო აფსაროსის მუზეუმ ნაკრძალში არქეოლოგიის კურსის გავლას, კურსი მოიცავს არქეოლოგიის შესახებ თეორიული ცოდნის და პრაქტიკული სამუშაოების მიღებას აჭარაში მდებარე 7 მუზეუმის მონახულებას და სხვა.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მიზანი: კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, შედეგი:საზოგადოებაში მოხდება კულტურული თვითშეგნების ამაღლება, გაიზრდება კულტურით დაინტერესებული შემოქმედებითი ჯგუფების რიცხვი. გაიზრდება მოსახლეობის ჩართულობა.				

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	----------------------	--------------------------	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------

			ათას ლარში		
05 03		132.50	124.70	125.00	128.50
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: 1. ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა - ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდებში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას. 2 ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. 3. საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა. 4. ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა ახალგაზრდებისათვის. 5. სამაგიდო თამაშების ღონისძიება, 6. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა			
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შედეგი: ახალგაზრდები მეტ ინიციატივას იჩენენ სხვადასხვა აქტივობებში, მაღლდება მათი ჩართულობა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შესაბამისად, მუნიციპალურ პროექტებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;			

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03 01			82,50	74.7	75.0	78.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: 1. ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა - ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდებში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას. 2 ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. 3. საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა. 4. ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა ახალგაზრდებისათვის. 5. სამაგიდო თამაშების ღონისძიება და სხვა</p>				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		<p>მიზანი: ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.</p> <p>შედეგი: ახალგაზრდები მეტ ინიციატივას იჩენენ სხვადასხვა აქტივობებში, მაღლდება მათი ჩართულობა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში</p>				



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03 02			50.0	50.0	50.0	50.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერია				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ პლატფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დააყენონ მათთვის საჭირო ინიციატივები, რომელთა შერჩევაც მოხდება კონკურსის საშუალებით.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის მიზანია: ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მათი ნოვაციური და ინფრასტრუქტურული ინიციატივების მხარდაჭერა				

კოდი	პროგრამის დასახელება	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 04			40.0	40.0	40.0	40.0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერია				
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს გამოცემისათვის თანადაფინანსება. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით ხდება თელავის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერლების და პუბლიცისტების ნაწარმოებების გამოქვეყნება, დამწყები მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა				
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა				

კოდი	პროგრამის დასახელება	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 05			196.90	185.00	190.00	245.00
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
<b>პროგრამის აღწერა</b>		პროგრამის განხორციელება ორიენტირებულია საინფორმაციო ბაზის გამდიდრებაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების გამოვლენაზე, შესწავლაზე, გადარჩენასა და შენარჩუნებაზე, ასევე კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებას როგორც ეკონომიკური წინსვლის ფაქტორი მუნიციპალურ დონეზე. დაგეგმილია სოფელ რუისპირის ისტორიული ძეგლის „აღმადანთ ციხის“ რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ქ. თელავში არსებული ისტორიული				

	კარიბჭეების რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სამუშაოები, ფსიტის ციხე და მიმდებარე ტერიტორია- კვლევითი, სადაზვერვო - არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოები, „პატარა გორი“ ლალისყურის სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და სამუშაოები, სტორის და ლოპოტის ხეობის სოფლების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, საადრიცხო ბარათების შედგენა, კისისხევის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების კვლევითი სამუშაოები, მეფე ერეკლეს II-ის შესახებ საინფორმაციო წიგნის დამუშავება და ბეჭდვა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, მნიშვნელოვანი ტურისტული მდებარეობის ძეგლის ვიზუალურად უკეთ აღქმა და მიმზიდველი გარემოს შექმნა და სხვა.
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, გაზრდილია კულტურული ძეგლების ცნობადობა.

კოდი	პროგრამის დასახელება	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 06			100,0	120,0	200,0	350,0
	<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
	<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია და სხვა.				
	<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	კომფორტული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული დასასვენებელი სივრცეები.				

### ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2596.20	2,738.40	2,758.50	2,778.50
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	140.00	140.00	140.00	140.00

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	140.00	140.00	140.00	140.00
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	0.00	0.00	0.00	0.00
06 02	სოციალური დაცვა	2456.20	2,598.40	2,618.50	2,638.50
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	36.00	36.00	36.00	36.00
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	357.80	357.80	357.80	357.80
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	7.80	7.80	7.80	7.80
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	350.00	350.00	350.00	350.00
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	703.00	859.50	859.60	859.60
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00	10.00	10.00	10.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	219.30	216.30	216.30	216.30
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	4.00	4.00	4.00	4.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	129.00	129.00	129.00	129.00
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	120.00	90.00	90.00	90.00
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	40.00	40.00	40.00	40.00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	754.00	774.00	794.00	814.00
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	70.00	70.00	70.00	70.00
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	1.80	1.80	1.80	1.80
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვრის თანადაფინანსება	11.30	10.00	10.00	10.00

კოდი	პროგრამის დასახელება	ჯანმრთელობის დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01			140.0	140.0	140.0	140.0

<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი
<b>პროგრამის აღწერა</b>	ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენისათვის იმ შეგნების ჩანერგვას, რომ აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამ პროგრამის მთავარი მიზანი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიღწევა და მოსახლეობაში ჯანმრთელი კონტიგენტის ხვედრითი წონისმატებაა. აგრეთვე მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით, აგრეთვე მათი აღჭურვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 01			140.0	140.0	140.0	140.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი				

<p><b>ქვეპროგრამის აღწერა</b></p>	<p>გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიზაციის დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკის წარმოებისთვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მცირე რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს. კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან, გარემოს, შრომის, სასოფლო-სამეურნეო, საკვების უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში. ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობაში საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, სოციალური მობილიზაციის ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში მისი უზრუნველყოფა. მოსახლეობის ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება, მოტივირება. გადამდებ დაავადებათა ეპიდემიზაციის დაავადებათა კონტროლის ღონისძიებები. პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა. იმუნოპროფილაქტიკაზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ნაღიზი, შეფასება, დაზუსტება. ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის ცივი ჯაჭვის საწიროების განსაზღვრა დაგეგმილი წესის მიხედვით. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა: ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის მარაგის შექმნა, მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონულ დონესთან. ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ რგოლისთვის დადგენილი წესის მიხედვით. "ცივი ჯაჭვის" ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანი ფაუნების შესწავლა/დადგენა. წყალსატევების პასპორტიზაცია, გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, მალარიის სკრინინგული კვლევა, სხვა პარაზიტული და ჰელმინთოზური დაავადებების სკრინინგი. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. ტუბერკულოზის, აივ ინფექციის/შიდსისა და C ჰეპატიტის დაავადებათა დამოუკიდებელი ყველაზე ეფექტურ გზად მიჩნეულია ადრეული გამოვლენა და მკურნალობა. C ჰეპატიტის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მართვის სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის ქსელში ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით საყოველთაოდ აღიარებული სტრატეგიაა, რომელიც პაციენტს საშუალებას აძლევს "ერთი-ფანჯრის" პრინციპით მიიღოს ყველა საჭირო მომსახურება. ამ გზით შესაძლებელია სამივე მიმართულებით შემთხვევების მეტად აქტიური გამოვლენა და ასევე მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესება.</p>
<p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება</p>

კოდი	პროგრამის დასახელება	სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02			2456.20	2,598.40	2,618.50	2,638.50
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერია, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				



<b>პროგრამის აღწერა</b>	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერად დახმარებას;</li> <li>- სამედიცინო მომსახურების დაფინანსებასა და თანადაფინანსებას;</li> <li>- ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას;</li> <li>- სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობა,</li> <li>- სოციალურად დაუცველ ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას</li> <li>- ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, ქირით უზრუნველყოფა.</li> <li>- სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას</li> </ul>
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01			36.0	36.0	36.0	36.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების, ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემას, ტრანსპორტირების ხარჯის უზრუნველსაყოფად. გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრება დასახლებების ზონირების შესაბამისად.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. პროგრამით მოსარგებლე კატეგორია უზრუნველყოფილია სამედიცინო დაწესებულებამდე ტრანსპორტირების ხარჯით				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02 01			7.8	7.8	7.8	7.8
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება. აღნიშნულ პროგრამით თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 150 ლარის ოდენობით.				

<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა 18 წლამდე შვილების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა
--	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02 02			350.0	350.0	350.0	350.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, გაიცემა ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორია უზრუნველყოფილია მატერიალური დახმარებით.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 03			703,0	859.5	859.6	859.6
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		თელავში მუნიციპალიტეტის მერიის უმწეოთა და უპოვართა სამსახური ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებაც, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. გარდა აღნიშნულისა, უფასო კვებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი სტატუსის მქონე ადამიანებს: შშმ სტატუსის მქონე ბავშვები და მათ ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ოჯახები, მარტოხელა მშობლები შვილებთან ერთად. მომსახურებით ასევე ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“. ყოველთვიურად ხდება კვებით მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული სოციალურად დაუცველი ბენეფიციართა ბაზის და ადმინისტრაციული ერთეულებიდან მერის წარმომადგენელთა შუამდგომლობის საფუძველზე.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით განსაზღვრული, ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. ყოფითი პირობების გაუმჯობესება				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 04			10.0	10.0	10.0	10.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამაჩაბლო-აფხაზეთი), დევნილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის გაიცემა დახმარება 250 ლარის ოდენობით, ხოლო უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით- 500 ლარის ოდენობით.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილთა ოჯახების თანადგომა.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 05			219,3	216.3	216.3	216.3
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ორ თვეს, რომლის ფარგლებშიც თითოეულ ბავშვზე გაიცემა ყოველთვიური დაფინანსება 80 ლარის ოდენობით. ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე დახმარება - გაიცემა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე წლის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველ სოციალურად დაუცველ ოჯახზე , რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, პირველ ახალშობილზე გაიცემა ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით, მეორე ახალშობილზე -250 ლარის ოდენობით, ორი ტყუპის დაბადების შემთხვევაში-400 ლარის ოდენობით, ხოლო სამი ტყუპის დაბადების შემთხვევაში 600 ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ირიცხებიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით. ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მოწყვლადი ბავშვების და მათი ოჯახების მხარდაჭერა, ოჯახის საჭირო ნივთებით და სხვა, უზრუნველყოფის მიზნით (თანადაფინანსება).				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		სოციალურად დაუცველთა ოჯახებში ახალშობილთა დაბადებისას ერთჯერად ფინანსურ დახმარების, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარების გაწევა, აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ვეტერანთა საზოგადოება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 06			4.0	4.0	4.0	4.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერია				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		ვეტერანთა თანადგომა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 07			129.0	129.0	129.0	129.0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		<p>კომუნალურ (ელექტროენერგიის) გადასახადებზე დახმარების პროგრამით აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე კატეგორია:</p> <p>თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, დევნილები, შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები, უდემამო ბავშვები, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს.</p> <p>გაზიფიცირების გარეშე არსებულ დასახლებებში მცხოვრები ოჯახების თხევადი აირით დახმარების ქვეპროგრამით განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში (თეთრიწყლები, კობაძე, პანტიანი, სეროდანი, ნადიკვარი, ლეჩური) მუდვივად მცხოვრები 149 ოჯახის თხევადი გაზით დახმარება ყოველთვიურად თითოეულ ოჯახზე 15 ლიტრის ოდენობით.</p> <p>აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრობა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა (განსაკუთრებით სასწავლო წლის პერიოდში) მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.</p>				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის ხელშეწყობა, თხევადი გაზით დახმარება, მოსახლეობის ტრანსპორტით ხელშეწყობა.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 08			120.0	90.0	90.0	81.3
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				

ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით მოსარგებელ კატეგორია: ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი. მოსარგებელე კატეგორია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლი პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირთა ოჯახები, პირები, რომლებიც გასული არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან. აღნიშნული კატეგორია დაფინანსდება თვეში 100 ლარის ფარგლებში.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებელ კატეგორიის უზრუნველყოფილა გარკვეული დროით თავშესაფრით

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 09			40.0	40.0	40.0	40.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა		საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასაჩუქრე ამანათების ან/და ფულადი თანხების გაცემა, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ : მრავალშვილიანი ოჯახები სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია დარომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, უდემამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, შშმ პირები, შშ სტატუსის მქონე ბავშვები, ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მარტოხელა მშობლები ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები და ახალშობილთა ოჯახები.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამით მოსარგებელ კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე მატერიალური მხარდაჭერა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 10			754.0	774.00	794.00	814.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				



<p><b>ქვეპროგრამის აღწერა</b></p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიურ პაციენტთა (ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა) სამედიცინო მომსახურების და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას. სარგებლობა შეუძლიათ ონკოლოგიური დაავადების მქონე იმ პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან ირიცხებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ფაქტიური საცხოვრებელი არის თელავის მუნიციპალიტეტი. ასეთ პაციენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული იქნება ლიმიტირებული თანხა 1500 ლარი, რომელიც წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება გამოყენებული იქნას სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დასაფინანსებლად. პროგრამა ითვალისწინებს ასევე ბენეფიციართა სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას, დახმარების მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტიური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა შშმბავები, მარჩენალდაკარგულები, მკვეთრი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და იძულებით გადაადგილებული პირები და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები. დაფინანსება მოხდება 300 ლარის ფარგლებში 100%-ით. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ოპერაციული, ისე სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის რეაბილიტაციის და სხვადასხვა სადიაგნოსტიკო ღონისძიებების განხორციელების თანადაფინანსებას მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტიური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა შშმბავი, მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, მარჩენალდაკარგული, იძულებით გადაადგილებული პირები და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება მოხდება პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხის 80%-ით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს. ხოლო თუ პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხა აღემატება 4000 ლარს დაფინანსდეს 1500 ლარით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდების სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსებას. პროგრამის ბენეფიციარები არიან სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდები, კერძოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები.</p>
<p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p>	<p>ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიის მედიკამენტების და მკურნალობის თანადაფინანსებით/დაფინანსებით უზრუნველყოფა.</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 11			70.0	70.0	70.0	70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				

<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შ.შ.მ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების თანადაფინანსება, აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „ალტერ ეგო“-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი შემდგომში დასაქმების ხელშეწყობა სარეაბილიტაციო მომსახურების - დაცული სახელოსნოს მომსახურების ამოქმედების თანადაფინანსება, საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის მიერ განსახორციელებელი პროექტის, შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის, თანადაფინანსება. ქვეპროგრამით განხორციელდება აგრეთვე მკურნალობის დაფინანსება სმენადაქვეითებული ბავშვების ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესში სმენისა და მეტყველების გაუმჯობესებისათვის, ასევე აუტისტური სპექტრის, ცერებრული დამბლის, დაუნის სინდრომის, ქცევის დარღვევის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან სოციალური კომპეტენციის, ემოციური ბალანსის, სხეულის აღქმის, კონცენტრაციის უნარის, ენისა და მეტყველების, მსხვილი და ნატიფი მოტორიკის გასაუმჯობესებლად ნორდოფ-რობინსის მეთოდით, რომელიც მიზნად ისახავს მუსიკის საშუალებით ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებას, უნარების განვითარებას, ქცევის მართვას, ემოციური რეგულაციების გაუმჯობესებას.
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	აღნიშნული კატეგორიის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 14			1.8	1.8	1.8	1.8
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		ქვეპროგრამა ითვალისწინებს 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებული პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას -150 ლარის ოდენობით.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მატერიალური დახმარება				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საქართველოს წითელი ჯვრის თანადაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 15			11,3	10,0	10,0	10,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>		თელავის მუნიციპალიტეტის მერია				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		საქმიანობათა ცენტრი თელავში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" განახორციელებს დაუცველი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდების სოციალურ მხარდაჭერას დღის ცენტრის მომსახურებისა და ბინაზე მოვლის სერვისის მიწოდებით. ასევე, უსაფრთხო თემების განვითარების ხელშეწყობა, კატასტროფების რისკების შემცირებით, ჯანდაცვაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით.				

<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	უსაფრთხო თემების განვითარების ხელშეწყობა, კატასტროფების რისკების შემცირებით, ჯანდაცვაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით.
--	---

### მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წამართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები) მომსახურება. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზიტ კახეთის დაფინანსებას.

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6210.80	6,130.90	6,076.80	6,010.80
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5452.50	4,936.10	4,948.10	4,949.10
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1142.70	1,101.70	1,108.70	1,113.70
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4144.80	3,669.40	3,674.40	3,670.40
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური	165.00	165.00	165.00	165.00
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	758.30	1,194.80	1,128.70	1,061.70
01 02 01	სარეზერვო ფონდი	150.00	100.00	100.00	100.00
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	558.30	1,044.80	978.70	911.70
01 02 04	ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზიტ კახეთი	50.000	50.00	50.00	50.0